გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ gmail.com

# სამტრედიის მაცნე

N7 (9294) | 10 მარტი. 2019 წელი | ფასი 50 თეთრი

## 5 მხოლოდ "სამტრედიის მაცნემ" ჩაიწერა...



## ნატოსა და ევროკავშირის მადლობის სიგელი სამტრედიას

2



## მეწყერმა ზემო ნოღაში საავტომობილო გზა ჩაკეტა

2

## 3 "ამ საკითხებით უნდა დაგვეწყო საკრებულოს სხდომა"

## ქართული პარლამენტარიზმის ასი წელი

5



## ყველა ლექსი და სიმღერა მხოლოდ ქალბატონებისთვის ითქვა

4

## 5 იდეა

10

## "ერთად შევხვდეთ გაზაფხულს!"

6

## ნეტავ ისეთი, ერთ მუშტად შეკრული საქართველო კიდევ მანახა!

8

# ნატოსა და ევროკავშირის მადლობის სიგელი სამტრედიას

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას 2018 წლის განმავლობაში აქტიური თანამშრომლობისთვის ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრმა მადლობის სიგელი გადასცა.

სამხარეო ადმინისტრაციის დარბაზში გაიმართა პროექტის _ "დასავლური ინტეგრაციის პროცესის შესახებ ინფორმირებულობისა და ჩართულობის გაზრდა რეგიონებში" პრეზენტაცია.

პრეზენტაციას სამხარეო ადმინისტრაციის, ადგილობრივი თვითმმართველობების, არასამთავრობო სექტორის და რეგიონული მედიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრას ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის იმერეთის რეგიონული ბიუროს წარმომადგენელი, მარიკა ვაჭარაძე და ცენტრის მიერ მოწვეული ექსპერტი, თენგიზ ფხალაძე გაუძღვნენ.

რადგან იმ დღეს მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია თბილისში იმყოფებოდა მივლინებით, სამხარეო ადმინისტრაციაში ოფიციალურ სამტრედიას მერიის ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი, ნოე ივანიაძე წარმოადგენდა.

იმ დღევანდელ შთაბეჭდილებებზე "სამტრედიის მაცნე" ბატონ ნოეს დაუკავშირდა: "ვიყავი ამაყი, რადგან სამტრედიას წარმოვადგენდი, იმ მუნიციპალიტეტს, რომელიც 2018 წლის განმავლობაში აქტიური თანამშრომლობისთვის ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის მადლობის სიგელი მიიღო, რაც ნიშნავს, იმას, რომ სამტრედია წლის განმავლობაში მაღალი კომუნიკაციით გამოირჩეოდა ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრთან. ჩვენ ვაპირებთ, მომავალშიც გავაგრძელოთ ნაყოფიერი თანამშრომლობა".





# მეწყერმა ზემო ნოღაში საავტომობილო გზა ჩაკეტა

ნინო ნანიტაშვილი

თებერვლის ბოლოსა და მარტის დასაწყისში დასავლეთ საქართველოში მოსული ხშირი ნალექის შედეგად სამტრედიის მუნიციპალიტეტში რამდენიმე სოფელი დაიმეწყრა. გადაუღებელმა, ძლიერმა წვიმამ გაღმა ზონის მოსახლეობა სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა.

3 მარტს სოფელ ზემო ნოღის ადმინისტრაციულ ერთეულში, კერძოდ, გოგიტაურების უბანში, მეწყერი ჩამოწვა. მეწყრის შედეგად საავტომობილო გზის სავალი ნაწილი ჩაიკეტა. ადგილზე სპეციალური ტექნიკით მერიის შესაბამისი სამსახურები მთელი დღის განმავლობაში მუშაობდნენ. შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია, მერის წარმომადგენელი ტოლების ადმინისტრაციულ ერთეულში, ალეკო ბოცვაძე და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ილია მჟავია.

ვალერიანე ფოცხვერია, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი: "ჩვენ ვიმყოფებით სოფელ ზემო ნოღაში, სადაც მეწყერია ჩამოწოლილი. სტიქიის შესახებ ჩემმა წარმომადგენელმა, ალეკო ბოცვაძემ შემატყობინა და დაუყოვნებლივ გამოვედი. გავაკეთეთ იმ ტექნიკის მობილიზება, რა რესურსიც სამტრედიის მუნიციპალიტეტს გააჩნია. ამ ეტაპზე სამუშაოები დასრულებულია, თუმცა ეს ზონა მუდმივ დაკვირვებას მოითხოვს, რადგანაც ხშირია ადგილობრივი მეწყრული მოვლენები. ჩვენ მზად ვართ, განმეორების შემთხვევაში ტექნიკის მობილიზება უზრუნველვყოთ".

ამ დროისთვის სამანქანო გზა მთლიანად არა, მაგრამ ნაწილობრივ გაწმენდილია, რაც ხელს არ შეუშლის მოსახლეობის ტრანსპორტით გადაადგილებას.

ტექნიკა უახლოეს დღეებში ისევ შევა სოფელ ზემო ნოღაში და ჩამოწოლილი მეწყრისგან გზა მთლიანად განთავისუფლდება.









# გამწვანების სამსახურმა საგაზაფხულო სამუშაოები დაიწყო

ნინო ნანიტაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლებმა ქალაქის მთელ ტერიტორიაზე საგაზაფხულო სამუშაოების შესრულება დაიწყეს.

პარკებში, სკვერებსა და სასაფლაოების მიმდებარედ დასუფთავება-დაბარვის სამუშაოებს ელგუჯა კალაძის უწყების სპეციალისტები აწარმოებენ.

"სამტრედიის მაცნეს" ობიექტივში 6 მარტს თბილისის ქუჩაზე მიმდინარე პროცესი მოხვდა. ქუჩის ორ ნაწილად გამყოფ გაზონში გამწვანების სამსახურის თანამშრომლებმა ხელის ტრაქტორით მიწა გააფხვიერეს, სადაც მომავალში დეკორატიული ყვავილები დაირგვება. ჩაფიქრებული აქვთ, აქ სხვადასხვა ჯიშის ყვავილები გააშენონ. გამწვანებისა და კეთილმოწყობის სამსახურმა 6 მარტს სამუშაოები ასევე ჩაატარა ზვიად გამსახურდიას მოედანზე არსებულ გაზონში და მომავლის პარკის ტერიტორიაზე.

პარალელურად შიდა გზის მოწესრიგების სამუშაოები მიმდინარეობდა ილორში, სოფელ მელაურსა და დავით აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე სასაფლოების ტერიტორიებზე.

მრავალფუნქციური დანიშნულების მიხედვით კეთილმოწყობის სამსახურმა მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის დავალება გაითვალისწინა: სოფელ მელაურში დატბორილი საძოვრის მიმდებარე წყალსაწრეტი არხი გაჭრა.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების დირექტორის, ელგუჯა კალაძის განცხადებით, 2019 წელს გაცილებით უფრო ლამაზი და კეთილმოწყობილი იქნება სამტრედიის მუნიციპალიტეტი.

# “ამ საკითხებით უნდა დაგვეწყო საკრებულოს სხდომა”

ქეთევან ჭელიძე

*მორიგი სხდომა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯაბურიამ გაზაფხულის შემობრძანებისა და დედის დღის მილოცვით გახსნა. მინიშნებაც გააკეთა, წლის ამ დროს სითბო და სიყვარული რომ მოაქვს. სიძულვილის რა გითხრათ, მაგრამ სხდომამ არც ამჯერად ჩაიარა პოზიცია-ოპოზიციის ოპონირებისა და ურთიერთბრალდებების გარეშე. მანამდე მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსმა, ნატალია მანჯგალაძემ, მსახიობ მურმან ჯინორიასა და მომღერალ ლაშა ღლონტის კონცერტზე მიიწვია საკრებულოს წევრები. ქალთა დღისადმი მიძღვნილი კონცერტი, 6 მარტს, მერიის ორგანიზებით ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში გაიმართა.*

სხდომაზე განსახილველი 14 საკითხიდან 7 საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე შალვა არზუმანიანმა წარადგინა. ძირითადად, ისინი არასამეწარმეო (არაკომერციული) პირების: “სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლის, “საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის”, “სახლი თანადგომას”, შპს “სამტრედიის მაცნეს”, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანას ეხებოდა. მათ შორის სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებას.

ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მერაბ ულრელიძემ ქალაქ სამტრედიაში მდინარეების, ჭურთავასა და ლოღობას კალაპოტების ნატანისა და ეკალ-ბარდებისაგან გაწმენდის პროექტები გამოიტანა. ასევე _ სამტრედიაში, თამარ მეფის ქუჩიდან ავტოსადგურის მიმართულებით დახურული სანიაღვრე არხის ნატანისაგან გაწმენდის პროექტი. საკრებულომ გომის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე ყუმურის გასწვრივ სანიაღვრე არხისა და ე. წ. “რუსიების უბანში” ხევის ნაშალი მთის ქანებისაგან გაწმენდის პროექტებიც მოიწონა. საკრებულომ კენჭი უყარა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის _ “სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლისთვის” რუსთაველის ქუჩის №20-ში მდებარე 1028 კვ. მეტრი ფართის უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემას.

ქალაქ სამტრედიაში, დაბა კულაშსა და სოფელ ნოღაში არსებული არასასოფლო და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების “საპრივატიზაციო ობიექტებად განსაზღვრისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ” საკრებულოს განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზეც წარადგინა პროექტი ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ და საკრებულომაც ერთხმად დაუჭირა მხარი.

“ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” წევრმა, მამუკა ბიბილეიშვილმა, უკმაყოფილება გამოთქვა “სახლი თანადგომას” მზარეულების დაბალი სახელფასო ანაზღაურების გამო. იკითხა, როდის უნდა იქნეს შემოტანილი საკითხი საკრებულოში მათი ხელფასების გაზრდასთან დაკავშირებით. ვინ უფრო ზრუნავს ამ ადამიანებზე და მართლაც არის თუ არა საჭირო 130 ბენეფიციარს 4 მზარეული ემსახურებოდეს, კამათი ოპოზიციასა და საკრებულოს იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მანანა სირბილაძეს შორის გამწვავდა. პოლემიკის საგანი საბავშვო ბაღებში მომხდარი, უკვე გახმაურებული ფაქტიც აღმოჩნდა. ენმ-ს თავმჯდომარემ სამტრედიაში, ემზარ შუბლაძემ, ვერ დაუშვა, რომ 2019 წელსაც საბავშვო ბაღებში ისევ იმ ნუგზარ მარკოიძეს შემოჰქონდა პროდუქტი და მათ შორის რძის ნაწარმიც, რომელმაც 2018 წელს სამტრედიელ პატარებს ცხენის ხორცი “დააგემოვნებინა”. ტენდერში გამარჯვებულმა “ნარგულმა” მინდობილობა სწორედ ნუგზარ მარკოიძეს გადასცა. ოპოზიციას კი დანაშაულად მიაჩნია ისევ ამ ადამიანის მიერ საბავშვო ბაღების სურსათ-სანოვაგით მომარაგება.

საკითხში უკეთ გარკვევას საკრებულოში მოწვეული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორი ხათუნა გაგუა და ამავე გაერთიანების შესყიდვების კოორდინატორი ქეთევან ივანაშვილი შეეცადნენ. “მიპოვეთ კანონში მუხლი, რომელიც ითვალისწინებს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას მინდობილი პირის გამო. კანონში ასეთ ჩანაწერს ვერ ნახავთ. ჩვენ კარგად ვიცნობთ კანონს, მაგრამ შესყიდვების სააგენტოსთან იურიდიულ სამსახურთანაც გავიარეთ კონსულტაცია. შპს “ნარგული” დისკვალიფიკაციას ვერ დაექვემდებარებოდა იმის გამო, რომ ფინანსური საქმიანობის მინდობილ პირად და არა ბიზნესპარტნიორად წარედგინა ნუგზარ მარკოიძე. ჩვენი მომწოდებელი არის “ნარგული”, რომლის დირექტორია სიმონ გორგაძე. პირობას გაძლევთ, თუკი სადმე შპს “ელენიკო” დაფიქსირდება, ჩვენ თვითონ შევწყვეტთ მასთან ურთიერთობას”. _ განაცხადა ქეთევან



ივანაშვილმა.

ფაქტი, რომელიც ცოტა ხნის წინ მამუკა ბიბილეიშვილმა აღმოაჩინა, მთელ საქართველოში აქტიური განხილვის საგანი გახდა. თუმცა, სამტრედიაში ირწმუნებიან, რომ ამის შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

რეაგირება კი მოახდინეთ, მაგრამ ეს ინფორმაცია ჩვენამდეც უნდა მოსულიყოო, _ საყვედური დასცდა უმრავლესობის წევრს საკრებულოში დავით ამაღლობელს.

ფაქტი ოქტომბერში დაფიქსირდა. არჩევნებისთვის ემზადებოდით და სიმართლე ის არის, ბარებისთვის არ გეცალათო. _ იქით დაადანაშაულა ბატონი დავითი ქეთევან ივანაშვილმა.

_ ხვალ რომ იგივე კომპანიამ უნდა შემომიტანოს პროდუქტი, როგორ მოვიქცე? _ იკითხა ხათუნა გაგუამ.

_ ამაზე ფრაქციის სხდომაზე ვისაუბროთ! _ უპასუხა მამუკა ბიბილეიშვილმა.

რა ხდებოდა ფრაქციის სხდომაზე, გაზეთის ამავე ნომერში ცოტა ქვემოთ წაიკითხავთ.

საკრებულოს სხდომაზე მარტო ეს თემა არ გამხდარა პოლემიკის მიზეზი. სხვა საკითხებთან ერთად განმარტებები ბიუჯეტში ნაშთის სახით დარჩენილ თანხაზეც მოითხოვა ოპოზიციამ.

როგორც საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა დავით ბაღდავაძემ აღნიშნა: “ბოლო ცვლილებების შედეგად 2018 წელს რგფ-ის მიერ ნაშთად დარჩენილი თანხები ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს მოხმარდება. სამინისტროს გადაწყვეტილებით ხელფასების მატება შეიძლება მოხდეს. მხოლოდ ოპტიმიზაციის შედეგად”.

ახლად რეაბილიტირებული საფეხბურთო სტადიონიც დაიწუნა ოპოზიციამ.

საკრებულოს წევრმა ტარიელ დვალიშვილმა კი დაადასტურა, რომ ყველაფერი სტანდარტებს შეესაბამება და ხარისხიანად გაკეთდა. მან მადლიერება გამოხატა მერის მოადგილის, დავით ბახტაძის მიმართ, სამუშაოების დაჩქარების



მიზნით დღედაღამ რომ იქ იმყოფებოდა.

ძირითადი საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს სხდომაზე სიტყვა საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების სამტრედიის სადროშოს მეთაურს მალხაზ იანტბელიძეს მისცეს. მან მადლობა გადაუხადა საკრებულოს თავმჯდომარეს მის მიერ შეთავაზებულ საკითხზე სწრაფი რეაგირების გამო. აღნიშნა, რომ თავის საცხოვრებელ ტერიტორიასთან



ახლოს, №1 სკოლის მიმდებარედ არსებობს დაუმთავრებელი შენობა, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში განსაზღვრული იყო, როგორც დიდი სპორტული დარბაზი. შემდეგ განვითარებული ცნობილი ისტორიული მოვლენების გამო შენობა დაუსრულებელი დარჩა. “ამას წინათ, ტელევიზიით ვნახე პრეზენტაცია გაიმართა ვერის პარკში ღია კინო-თეატრის, რომელიც ქალაქის მერის, კახი კალაძის, პროექტია. ძალიან მომეწონა იდეა და ვიფიქრე, რატომ არ შეიძლება, ეს შენობაც დამთავრდეს და მოეწყოს იქ ღია თეატრი. გაიზარდა თაობა, რომელსაც დიდ ეკრანზე კინო არა აქვს ნანახი, ქართული ფილმები, მსოფლიოს კლასიკური ნიმუშები. გაირკვა, რომ შენობა ეკონომიკის სამინისტროს გამოტანილი აქვს, როგორც საინვესტიციო ობიექტი. თუ ვინმე ინვესტიციას ჩადებს მასში, იგი უფასოდ გადაეცემა, ოღონდ, უნდა შეუნარჩუნდეს პროფილი. თუ თქვენგან მხარდაჭერა იქნება, აქ მოეწყობა თეატრი ღია ცის ქვეშ. გნებავთ, დაფუძნდეს ახალგაზრდული ცენტრი, კინო-თეატრი... სახელს არა აქვს მნიშვნელობა, მთავარი შინაარსია. საკმაოდ დიდი ფართია, 1200 კვ. მეტრი. ჩვენი ბავშვებისათვის ყველანაირი ღონისძიების ჩატარება შეიძლება აქ. მეზობელი მუნიციპალიტეტების ახალგაზრდების მოწვევაც შეიძლება, მათი დამეგობრება, საინტერესო ღონისძიებების მოწყობა.

რაც შეეხება თანხას, არსებობს სხვადასხვა ფონდი. შეიძლება დავაინტერესოთ სამთავრობო წრეები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ თანხები, თავად ეძებენ პროექტებს რეგიონებში, დააფინანსონ და ინიციატივებს მხარი დაუჭირონ. თავისთავად კერძო პირები, ბიზნესმენები, ათასი ადამიანი, რომელიც ამ საქმეს მხარს აუბამს. პროექტის განხორციელება ყველას მონდომებითაა შესაძლებელი. დავარქვათ, თუნდაც, სახალხო პროექტი. აქ მთავარია ადამიანი, ვისაც ეს საქმე დაევალება და ამისთვის გადადებს თავს. ადგილი გაცოცხლდება და მნიშვნელოვანი კულტურული ლოკაცია გახდება.

მე ვსაუბრობ ჩემს სურვილზე, ხედვაზე და თუ თქვენი თანხმობაც იქნება, თავდაუზოგავად ვიშრომებ ამ პროექტის განსახორციელებლად.” _ თქვა მან.

იდეა მოწონებული იქნა საკრებულოს სხდომაზე, მაგრამ საკრებულოს წევრებთან ერთად, მალხაზ იანტბელიძეც დაეთანხმა მერიის საინფორმაციო ცენტრის დირექტორის, სოფიო კირთაძის, განცხადებას, რომ “ასეთ დროს სამიზნე ჯგუფებს, ამ შემთხვევაში ახალგაზრდებს უნდა დავეკითხოთ, რამდენად მისაღებია მათთვის რაც კეთდება. ხდება ხშირად, მათთვის რაღაც ღონისძიებები დაიგეგმება, მაგრამ ეს მათ ინტერესში არ შედის. იდეა მომწონს, ძალიან კარგია, მაგრამ ჯერ მაინც არის მცირე კვლევა, მონიტორინგი საჭირო”.

ამ საკითხებით უნდა დაგვეწყო საკრებულოს სხდომა! _ კმაყოფილებით აღნიშნა მანანა სირბილაძემ, როცა საკრებულოს წევრის, ზაზა ადეიშვილის, ინფორმაციები მოისმინა. და არც მარტო ქალბატონი მანანა, აქ ერთსულოვანი იყო პოზიციაც და ოპოზიციაც. საქმე ეხება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 100 წლისთავთან დაკავშირებულ პროექტს, რომელიც ჩვენს ქალაქში უნდა განხორციელდეს. “საქართველოს ისტორიოგრაფიის მუზეუმიდან დამიკავშირდა ჩემი მეგობარი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ცნობილი მოაზროვნე და ბროლის ბუს მფლობელი ანტონ მაჭარაძე. გამოვიდნენ ინიციატივით, რომ თავიანთი ხარჯებით მუნიციპალიტეტებში, საიდანაც საქართველოს პირველი რესპუბლიკის დამფუძნებლები იყვნენ, გააკეთონ მემორიალური დაფები, მათ შორის სამტრედიაშიც. მით უფრო, რომ დამოუკიდებელი რესპუბლიკის საჭესთან რამდენიმე სამტრედიელი იდგა და საპატიო პოსტები ეკავათ. თავიდან მომაწოდეს 5-6 ადამიანისგან შემდგარი სია. სამტრედიელებს ახლა მოგვწონს თავი, რომ პარლამენტში ბევრი სამტრედიელი გვყავს და თბილისის მერიც სამტრედიელია. დემოკრატიული რესპუბლიკის დროსაც ქალაქ თბილისის თავი იყო ნიკოლოზ ელიავა, ღანირელი კაცი. 130 კაციან დამფუძნებელი კრების მონაწილეებს შორის 8-ს სამტრედია აქვს დაბადების ადგილად მითითებული. ქუთაისის მაზრაში სოფელი წიაღუბანი რომ ეწერა სარდიონ თევზაძეს, სამტრედიელებში არ ჰყავდათ მითვლილი. ეს არის, თუ არის სამტრედიელი-მეთქი. ასევე, პავლე წულაია, დამფუძნებელი კრების წევრი, ხუნჯულაურიდან იყო. ილია კოპალეიშვილი _ ქუთაისის მაზრა _ სოფელი ეწერი, ქუთაისის მაზრაში იყო 21 ეწერი, მაგრამ გვარი კოპალეიშვილი უფრო მეტად სამტრედიაში გვხდება. 8 კაციან მინისტრთა საბჭოში 2 სამტრედიელი იყო. კოწია კანდელაკი, მრეწველობის, ვაჭრობის და ფინანსთა მინისტრი გახლდათ. გიორგი ლასხიშვილი სახალხო განათლების მინისტრი. საერთოდ არ ვიცოდით ამის შესახებ და მისი დაბადების ადგილად დიდი ჯიხაიშია მითითებული. ფილიპე ლორია _ ესეც დამფუძნებელია სოფელ ნოღიდან. გიორგი ლასხიშვილი და მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძისა სიაში არ იყვნენ შეყვანილი, როგორც სამტრედიელები. ქალბატონი მინადორა თბილისიდან იყო გადმოსახლებული და 14 წელი ცხოვრობდა სამტრედიაში. ეგ იყო იმ პერიოდის კლარა ცეტკინი. თავისებური ადამიანი იყო, თვითონ იყო ერთ-ერთი დამფუძნებელი მენშევიკური პარტიის, ხოლო ქმარი მალაქია ტოროშელიძე ერთ-ერთი დამფუძნებელი ბოლშევიკური პარტიის. სულ 10 ადამიანია სამტრედიიდან. მემორიალური დაფა სასურველი იქნება, თუ რომელიმე სკვერში დაიდგმება.” სავარაუდოდ, რამდენიმე ადგილი საკრებულოს სხდომაზე დასახელდა კიდეც.

მეორე ინფორმაცია, რომელიც ზაზა ადეიშვილმა საკრებულოს წევრებს მიაწოდა ქალაქების, ფერეიდანისა და სამტრედიის დაძმობილება გახლდათ. იდეა სამტრედიელ კახა შენგელიას ეკუთვნის. ზაზა ადეიშვილის განმარტებით: “ამაზე ფიქრი გასული წლის ბოლოს დავიწყეთ და დაიგეგმა კიდეც რაღაც-რაღაცეები. შეთანხმების დონეზე ორივე მხარეს აქვს დასტური. კახა შენგელია თანამედროვე მიკუხო მაკლაია. მოგზაურობს ქვეყნიდან ქვეყანაში, პატრიოტი კაცია, რამდენჯერმე არის ნამყოფი ფერეიდანში. იქაური ქართველების ქართველობა იცით, როგორი პატრიოტები არიან. წარმოიშვა აზრი, საქართველოს რომელიმე ქალაქთან ფერეიდანის დამეგობრების შესახებ. ფერეიდნელები აღმოსავლეთ საქართველოდან ასახლებული ხალხია შაჰ-აბასის დროს და უფრო უმიზნებენ კახეთს, საგარეჯოს. კახამ ყველაზე დინამიურად მზარდი, გეოგრაფიულად საინტერესო სამტრედია შესთავაზა მათ. წინასწარი თანხმობა და სურვილი ფერეიდანის თვითმმართველობის ხელმძღვანელობიდანაც წამოვიდა. პირველად ჩვენ ვისტუმრებთ ფერეიდნელებს და ვანახოთ მეგობრობა ქართულად”.

# ყველა ლექსი და სიმღერა მხოლოდ ქალბატონებისთვის ითქვა

ნათია ნაცვლიშვილი

***სამტრედიას ორი წლის წინანდელი, მურმან ჯინორიას მონოსპექტაკლისგან მიღებული ემოცია ჯერაც არ განელებოდა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, 7 მარტს ეს ადამიანი-დღესასწაული კვლავ ეწვია სამტრედიას. ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენაზე მასთან ერთად იდგა შესანიშნავი მომღერალი, ქართველ კლასიკოს კომპოზიტორთა სიმღერების უბადლო შემსრულებელი, უნიკალური ესთეტი, ლაშა ღლონტი. საღამოს პირველი ნაწილი ლაშა ღლონტის სიმღერებს დაეთმო, მეორე ნაწილში კი, გენიალური ქართული ლექსი ცეცხლივით მოეკიდა სცენას და პოეზიის უსასრულო სამყაროში აღმოგვაჩინა.***

მომღერალმა ყველა სიმღერას ერთგვარი წანამძღვარი გაუკეთა და მათი ისტორია გვიამბო. განსაკუთრებულად მიულოცა ქალბატონებს დედისა და ქალთა დღეები, სამტრედიაც ძალიან მეშობლიურებაო, გვითხრა. გვითხრა, რომ არასოდეს უფიქრია სცენაზე ასვლა, არც გაპუდრულს ინტერვიუების რიგება ხიბლავდა ოდესმე, მაგრამ გენიალურ ქართველ კომპოზიტორებთან და მომღერლებთან სუფრაზე დაწყებულმა მეგობრობამ მოიტანა ის, რომ მისი ნიჭიერება სუფრიდან თავისთავად ავიდა სცენაზე. მერე შესანიშნავმა მომღერალმა და კომპოზიტორმა დათო არჩვაძემ ნანა ცინცაძის ლექსზე სიმღერა შეუქმნა და სიმღერით "მონატრებიხარ ფიქრებს" ლაშა ღლონტმა სხვა რეალობაში "გაიღვიძა". ასე, დღითიდღე იმატებს მისი პოპულარობა და მისი საკონცერტო ტურნეების მასშტაბები.

გენიალურ მამუკა ჩარკვიანთან თანამშრომლობა რამდენჯერმე მოუწია: ერთხელ, როცა თავად მაესტრომ დაურეკა, ჩემი საიუბილეო კონცერტისათვის ყველა სიმღერა გავანაწილე და ყველაზე საუკეთესო დამრჩა, მას შენ განდობო. მეორედ თავად სთხოვა კომპოზიტორს სიმღერა " შენ რომ დიდი იქნები" და ეს მაშინ, როცა ლაშა ღლონტი ბაბუა გახდა. უბერებელი ქართული მელოდიების აჟღერების შემდეგ მომღერალმა განაცხადა, რომ მისი შემოქმედება ახლოსაც ვერ მივა გენიალური მურმან ჯინორიას ღვაწლთან.

რუსთაველის თეატრში ლეგენდარული მსახიობი წარმოადგენს მონო-სპექტაკლს "ქარი მწყურია მე პირდაპირი". ამჯერად მსახიობმა ამ სპექტაკლის ნაწილი შესთავაზა მსმენელს. სამტრედია გენიალური ეროსი მანჯგალაძის ქალაქია და განსაკუთრებულად ვნერვიულობო, ბრძანა, ასევე სიყვარულით გაიხსენა მეგობარი მსახიობი, ჩვენი თანაქალაქელი დავით კვირცხალია. ისევე როგორც წინა სპექტაკლზე, დარბაზში ახლაც აკადემიური მსმენელი იჯდა, რადგან ეს კონცერტი ქალბატონებს მიეძღვნა, რიცხოვნობით ქალბატონები სჭარბობდნენ. გარინდული უსმენდა დარბაზი მსახიობის მიერ პოეზიის მუსიკით აჟღერებულ ლექს-მარგალიტებს. ეს არ არის უბრალო წაკითხვა, ეს შემოქმედებითი წვაა, უდიდეს ფიზიკურ თუ მორალურ ენერგიას ითხოვს, დარბაზს გადასდო უდიდესი ემოცია და დარბაზიდანაც საპასუხო მუხტი მიიღო. თითქოს ყველა ჩვენგანმა ვიცით გალაკტიონის, ილიას, შოთა ნიშნიანიძის, მუხრანის, მურმანის უკვდავი სტროფები, მაგრამ შეუდარებელია მურმან ჯინორიას სულის ქურაში გამოტარებული და სცენაზე განფენილი "ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია"... რეპერტუარი კლასიკოს პოეტებზე აქვს აგებული, იგი მეტრია, ამდენად, გვაინტერესებდა თანამედროვე პოეტებისადმი მისი დამოკიდებულება. ამიტომაც, დარბაზიდანვე ვკითხეთ, შედის თუ არა მის რეპერტუარში ახალი თაობის ქართველ პოეტთა ლექსები? ამით გავიგებდით, რომელ ახალგაზრდა პოეტს ეკუთვნის მისი სიმპათია, მაესტრომ სცენიდან გვიპასუხა: ახალგაზრდა პოეტები, დეე, ახალგაზრდებმა წაიკითხონ! პოეზია არ არის მხოლოდ სიტყვათა ლამაზი წყობა, პოეზია არის უდიდესი ემოცია _ ასეთია პოეზიის მურმან ჯინორიასეული განსაზღვრება.

ქალთა დღისადმი მიძღვნილი ულამაზესი საღამოს ბოლო აკორდი ჩვენი მუნიციპალიტეტის საუკეთესო ქალბატონების ფასიანი საჩუქრებით დასაჩუქრება იყო. შეკრებილთ და საღამოს მთავარ შემოქმედთ მიესალმნენ მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია და საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია. საღამო მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის (უფროსი ნატალია მანჯგალაძე) ორგანიზებული იყო. დასაჩუქრდნენ მედიცინის მუშაკები, განათლების სფეროს, სააღმზრდელო დაწესებულებათა წარმომადგენლები, ქალბატონები კომუნალური გაერთიანებიდან, შსს-ს უწყებიდან...

"სამტრედიის მაცნე" რამდენიმე მათგანს გაესაუბრა:

ლამზირა თევზაძე, მესამე საჯარო სკოლის დაწყებითების პედაგოგი:

"მადლობის მეტი არაფერი მეთქმის, ძალიან გასახარია, როცა ამდენი ღვაწლმოსილი და გამორჩეული ადამიანის გვერდით შენც დაგასახელებენ. ეს დიდი პასუხისმგებლობაა და ამავე პასუხისმგებლობით გავაგრძელებ მომავალში მუშაობას."

სამტრედიის რაიონული სამმართველოს კანცელარიის სპეციალისტი იზო კირკიტაძე:

"რა თქმა უნდა, ძალიან კმაყოფილი ვარ, მადლობა ბატონ ვალერიანე ფოცხვერიას და მუნიციპალიტეტის მერიას, ჩემთვის ეს არ არის პირველი სტუმრობა ამ სცენაზე. წარსულშიც ვმდგარვარ და ძალიან ბედნიერი ვარ.

ეთერ სტურუა, "ჯეოჰოსპიტალსის" მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ექიმი: " აღფრთოვანებული ვარ, სასიამოვნო სიურპრიზი იყო, მადლობა ყველას".

ნუნუ აბრამია, "ჯეოჰოსპიტალსის" მრავალპროფილური სამედიცინო ცენტრის ექიმი-კარდიოლოგი: "მინდა ყველა დედას, დიდედას მივულოცო ეს დღე, ძალიან შინაარსიანი და ლამაზი ღონისძიება გამოვიდა, ყურადღება და აღიარება დიდი სტიმულია, მადლობა ყველას, ვინც ეს ლამაზი დღე გვაჩუქა. მადლობა ჩვენს მუნიციპალიტეტს.

ხათუნა ფაილაძე, პირველი საჯარო სკოლის დირექტორი: "ძალიან დიდი მადლობა, თუ დღეს ამ სცენაზე ვდგავარ, ეს არის ჩემი პირველი სკოლის გუნდის დამსახურება, მათ შეძლეს, დაენახვებინათ მუნიციპალიტეტისთვის, რა ძლიერია პირველი სკოლა. მადლობა ღონისძიების ყველა ორგანიზატორს".

სოფო ახობაძე: "მე მაქვს პატივი, ვიყო წარმომადგენელი უდიდესი ტრადიციების მქონე დომენტი შანიძის მუსიკალური სკოლისა, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა ქალბატონ ირმა შანიძეს, ამ სახლის დირექტორს, რომელმაც წარმადგინა, ასევე მერიის სამსახურს უდიდესი მადლობა ამ შესანიშნავი საღამოსთვის, ქართული სცენის მეტრის, დიდოსტატის, მურმან ჯინორიას და საოცარი ხმატკბილი, საქართველოსთვის საყვარელი მომღერლის, ლაშა ღლონტის მოწვევისათვის."















# მხოლოდ "სამტრედიის მაცნემ" ჩაიწერა...

ტელევიზია არ იწერს და მეგობრულად გეუბნებით, _ რჩევა მისცა შეხვედრის დასასრულს საკრებულოს წევრმა ავთანდილ სტურუამ სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების წარმომადგენლებს. თუ ტელევიზიამ არა, "სამტრედიის მაცნემ" ჩაიწერა და ისე ჩაიწერა, როგორც იცის ხოლმე! სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტში არსებული რამდენიმე მედიასაშუალებისგან სხდომას მხოლოდ "სამტრედიის მაცნე" ესწრებოდა. ასე რომ, ამბავს "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის სხდომიდან "სამტრედიის მაცნე" გამოგიტანთ და ბატონი ავთანდილის მეგობრულ რჩევასაც გაუზიარებს მკითხველს.

მიუხედავად იმისა, მოწვეული გახლდათ, როგორც მოსალოდნელი იყო, მუნიციპალიტეტის მერი არ დაესწრო ფრაქციის სხდომას. სხვათა შორის, არც საკრებულოს თავმჯდომარე და სხვა პასუხისმგებელი პირები. ბუნებრივია, დაემთხვა, პარლამენტში ზუსტად იმ დროს დაწყებულ სხდომას, სადაც საქართველოს პრეზიდენტისთვის უნდა მოესმინათ, "ნაციონალურმა მოძრაობამ" გამოუცხადა ბოიკოტი. ასე რომ, სამტრედიაში რევანში აუღო ოპოზიციას პოზიციამ.

ეს ხუმრობით, მაგრამ სახუმარო მართლა არაა, არც პოლიტიკაა განმსაზღვრელი, მით უმეტეს, რომ შუაში ბავშვები არიან. სხვათა შორის, ამას სხდომაზეც გაესვა ხაზი, მაგრამ სიტყვები პოლიტიკური პასუხისმგებლობა სხვადასხვა კონტექსტში მაინც ბევრჯერ ახსენეს.

ჩვენი გაზეთის პერიოდულობიდან გამომდინარე საკმაოდ გაგრძელებული ფრაქციის სხდომის ირგვლივ ვრცელი საგაზეთო მასალის მომზადება ვერ მოესწრო. საკითხის არასათანადოდ და არაკომპეტენტურად მკითხველამდე მიტანას ვარჩიეთ იგი დაინტერესებულ საზოგადოებას სათანადოდ მომზადებული "სამტრედიის მაცნეს" მომდევნო ნომერში გავაცნოთ.

თეა ბაზუხაშვილი

# ქართული პარლამენტარიზმის ასი წელი

ლევან გაბეჩავა

***"დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის დაარსდეს ერთი საარჩევნო ოლქი. დამფუძნებელი კრების წევრთა რიცხვი უნდა იყოს 130. ხმის მისაცემად რესპუბლიკა დაიყოფა საარჩევნო უბნებად.***

***დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს რესპუბლიკის ორივე სქესის მოქალაქეს, თუ არჩევნების დღისთვის 20 წელი შესრულებიათ. ჯარისკაცებს აქვთ მხოლოდ პასიური საარჩევნო უფლება".***

***ეს გახლავთ ამონარიდი საუკუნის წინანდელი დამფუძნებელი კრების საარჩევნო დებულებიდან.***

...

1918 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ საბჭოს საქართველოს პარლამენტი ეწოდა.

1919 წლის თებერვალში ჩატარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები, დიდი უპირატესობით გაიმარჯვეს სოციალ-დემოკრატებმა. დეპუტატის 130 მანდატიდან სოციალ-დემოკრატებმა 109, სოციალისტ-ფედერალისტებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა მიიღეს 8-8 მანდატი.

დამფუძნებელი კრების პირველი სხდომა გაიხსნა 1919 წლის 12 მარტს. დამფუძნებელი კრების თავმჯდომარედ კარლო ჩხეიძე აირჩიეს.

კრებამ დაადასტურა 1918 წლის 26 მაისს ეროვნული საბჭოს მიერ დამტკიცებული "საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი".

1919 წლის 21 მარტს დამტკიცდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ახალი ერთპარტიული (სოციალ-დემოკრატიული) მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით.

საგარეო საქმეთა და იუსტიციის მინისტრი ევგენი გეგეჭკორი გახდა.

შინაგან საქმეთა, სამხედრო და განათლების მინისტრის პორტფელი ნოე რამიშვილმა ჩაიბარა.

მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრად _ ნოე ხომერიკი, ხოლო ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრად კონსტანტინე კანდელაკი (სამტრედიელი. ლ.გ.) დაამტკიცეს.

1919 წელს საქართველოში ჩატარდა ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნები, სამაზრო კრებებსა და საქალაქო თვითმმართველობებში, თითქმის ყველგან უპირატესობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

1919 წლის ივლისში საქართველოს მთავრობამ საკუთარი დროებითი ფულადი ნიშნის _ ბონის გამოშვება დაიწყო. ჩამოყალიბდა სახელმწიფო ბანკი. ფინანსების სიმცირის მიუხედავად სახელმწიფოსათვის პრიორიტეტული იყო სოციალური და კულტურული პროგრამები.

1919 წელს დაარსდა საქართველოს (ეროვნული) მუზეუმი. მომდევნო წელს, ეროვნული სამხატვრო გალერეა და ცენტრალური სამეცნიერო არქივი.

***წარმოდგენილი მასალა ცხადჰყოფს, რომ 1919 წელი უმნიშვნელოვანესი იყო საქართველოს ახალშობილი დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, ჩვენი ერისა და ქვეყნის ისტორიისათვის. არ იქნებოდა ურიგო, დღევანდელ პარლამენტსა და მთავრობაშიც გაითვალისწინონ პარლამენტართა და მთავრობის წევრთა (მინისტრთა) რაოდენობის საუკუნისწინანდელი პრაქტიკა, ამით მილიონებიც დაიზოგება, ხალხიც იხეირებს და ყელში ამოსული ურთიერთბრალდებების ბინძური "ომიც" დამთავრდება.***



# სალონი „ნანა" „სათნოების სახლში"

ნინო ნანიტაშვილი





8 მარტამდე ერთი დღით ადრე სილამაზის სალონი "ნანა" "სათნოების სახლს" საგანგებოდ ეწვია. მიზანი იქ მცხოვრები ქალბატონებისთვის ესთეტიკური სიამოვნების მინიჭება გახლდათ.

სალონი "ნანას" სტილისტებს: ნანა შანიძეს, იზა კალაძეს და ნანა დვალიშვილს ოჯახის მზრუნველობას მოკლებული ადამიანები სიხარულით შეეგებნენ. მოხუცთა თვალებში ბედნიერების ნაპერწკალი ენთო, რაც კმაყოფილებასთან ერთად მადლიერებას გამოხატავდა.

სამტრედიის "სათნოების სახლში" 16 ბინადარი ქალია. გასალამაზებლად გამოსვლა 6-მა მათგანმა შესძლო. დიდ დარბაზში შეკრებილი ქალბატონები მოუთმენლად ელოდნენ თავიანთ რიგს. ორმა თმაში გამორეული ჭაღარის დაფარვა მოისურვა. ახალგაზრდობა გაიხსენეს და მუქი, ჩალისფერი დაიყენეს. ოთხი ქალბატონი სტილისტებს თმის შეჭრაზე დასთანხმდა.



ნანა შანიძე, სალონი "ნანას" ხელმძღვანელი: "დღევანდელი აქცია დედაჩემის ნათელ ხსოვნას მივუძღვენი. ეს კვირა დატვირთულია ქალთა დღესასწაულებით. მინდოდა, ოჯახის მზრუნველობას მოკლებული მოხუცებისთვის გაზაფხულის დღეები გამელამაზებინა და ყველა მათგანს მოვფერებოდი, როგორც ჩემს დედას. რომ დაგვინახეს, ძალიან გაიხარეს, გვეკითხებოდნენ, ფული უნდა გადავიხადოთო? სახელმწიფო გაფინანსებთ? ვპასუხობდით, რომ ეს იყო ჩვენი სურვილი, რისთვისაც გვლოცავდნენ. რადგან რამდენიმემ ჯანმრთელობის გამო ვერ მოახერხა გამოსვლა. დავპირდით, რომ ჩვენ კიდევ ვესტუმრებით "სათნოების სახლს" და ბევრჯერ გავახარებთ".

"სათნოების სახლის" ადმინისტრაციამ ინიციატივისთვის დიდი მადლობა გადაუხადა სალონ "ნანას" სტილისტებს. ექთანმა ნათია ლეჟავამ მთელი კოლექტივის სახელით მადლიერება გამოხატა: "ჩვენი მოხუცების გულის გათბობა მცირედი სიხარულითაც შეიძლება. დღევანდელმა აქციამ ისინი არა მარტო გაალამაზა, არამედ გააბედნიერა კიდეც".

# “ერთად შევეგებით გაზაფხულს!”

ლევან გაბეჩავა

***გვთხოვეს ლამაზი მოსაწვევით მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკიდან და...***

***1-ლ მარტს სამკითხველო დარბაზში ტრადიციულზე მეტი ხალხმრავლობა იყო. არცაა საკვირველი, ყველაზე ლამაზ და სათუთ დღესასწაულს, დედის დღეს აღნიშნავდნენ აქ.***

***შეკრებილთ მიესალმა და მობრძანებისთვის მადლობა უძღვნა ბიბლიოთეკის დირექტორმა, ქალბატონმა ლამარა დუნდუამ.***

***ღონისძიებას გაზეთ “სამტრედიის მაცნეს” პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა უძღვებოდა.***







საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი ნუგზარ ჯამბურია, საკრებულოს წევრები, ქალბატონები ლიზა კრავეიშვილი, მანანა სირბილაძე, ნონა გოგისვანიძე, ბატონები გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, საზოგადოება “სამტრედიელის” თავმჯდომარე, ქალბატონი ტატა გოგუაძე, დავით ალმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი, ბატონი ჯონი ნადირაძე და სხვები.

გოგა ქათამაძე, ბესო კახიანი, ბარბარე ძიძიგური, ოთო ნიკოლეიშვილი, ანაბელა კანდელაკი, ცისია ჯანელიძე, ლუკა კიკაჩეიშვილი, მარიამ ფილიშვილი, თემურ გერაძე, თამთა ცერცვაძე... ეს ახალგაზრდები, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლის მოსწავლეები არიან, რომელთაც მჭიდრო კონტაქტები აქვთ ბიბლიოთეკასთან და აქ თავს მყუდროდ, კომფორტულად გრძნობენ, სასურველი წიგნებისა და მათდამი თბილად, მშობლიურად განწყობილი ქალბატონების გარემოცვაში. ლამაზი, ძარღვიანი ლექსი და თბილი სიტყვები არ დაიშურეს მათ დედებისადმი. დარბაზში წარმოდგენილი ღვაწლმოსილი ქალბატონებისადმი.

შეკრებილთ მიესალმა სამკითხველო დარბაზის მთავარი ბიბლიოთეკარი, ქალბატონი რუსუდან კახიანი.

განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად მესამე საჯარო სკოლის მოსწავლის, ანანო ნინუას მიერ შესრულებულ სიმღერას და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ანსამბლ “ჩანგის” სოლისტის, ნინი მოსიძის მიერ ხალხურ საკრავებზე შესრულებულ მუსიკალურ ნომრებს, ნინი დ. შანიძის სახელობის № 1 სახელოვნებო სკოლაში, მეორე კლასში ქართულ ხალხურ საკრავებზე სწავლობს. პედაგოგი, ქალბატონი მერი ტკაცირია. დღესასწაულის შესატყვისი კადრები უჩვენეს ეკრანზე შეკრებილთ, მხატვრული ფილმებიდან.

შესანიშნავი ნახატი გამოფინა დარბაზში დედაშვილობის თემატიკაზე მარიამ რამიშვილმა.

საგანგებოდ იყვნენ საღამოზე მოწვეულები მრავალშვილიანი დედები, ქალბატონები: თეა ტულუში, ნონა გელაშვილი და თინიკო გერაძე. სიხარულით შეეგება დარბაზი პოეტი ქალბატონის, მაყვალა ჩირგაძის, გამოსვლას, რომელმაც საკუთარი ლექსი წაიკითხა. ქალბატონმა გულიკო გოგიტიძემ კი ის ლექსი წაიკითხა, წლების წინ შვილმა, ბაჩანა ჩაბრაძემ, რომ უძღვნა მას და იქ მყოფთ დედის დღე მიულოცა. ამ არაჩვეულებრივ საღამოს ლექსით ესალმუნებოდნენ დედებს და მრავალი თაობის აღმზრდელი, ქალბატონი აზა მელქაძეც, საკუთარი ლექსითა და კეთილი სურვილებით შეუერთდა საერთო განწყობას.

დედის როლზე ისაუბრა შვილების აღზრდის საქმეში და საკუთარი ცხოვრებისეული რთული პერიოდები გაიხსენა ბატონმა გიგანტი ბიბილეიშვილმა, ცრემლი მოგვგვარა მისმა მოგონებებმა შეკრებილთ. ქალბატონებს პედაგოგი, ბატონი შუქრი ურუშაძეც, მიესალმა. საღამოს ორგანიზატორებს გულთბილი მადლობა უთხრა და დარბაზში მყოფთ დედის დღე მიულოცა ღვაწლმოსილმა ექიმმა, ქალბატონმა ლუარა კახიანმა, საზოგადოება “სამტრედიელის” სახელით საზოგადოების თავმჯდომარემ, ქალბატონმა ტატა გოგუაძემ, თბილი სიტყვები და კეთილი სურვილები არ დაიშურა დედებისადმი. პოზიტიური შთაბეჭდილებები არ დაუმალავს და ლამაზი ლექსის პერიფრაზით გააჯერა თავისი გამოსვლა საკრებულოს წევრმა, ბატონმა ტარიელ დვალიშვილმა.

“საოცრად ლამაზი საღამო იყო, ყველა დედა ბედნიერი, ხალისიანი, სახეღიმილიანი ყოფილიყოს, ცრემლი არასოდეს გვენახოს დედების თვალზე...” – განუცხადა “სამტრედიის მაცნეს” ღვაწლმოსილმა ბიბლიოთეკარმა, ქალბატონმა მაყვალა კანდელაკმა.

სამახსოვრო, ფასიანი საჩუქრები გადასცა ბიბლიოთეკის დირექტორმა, ქალბატონმა ლამარა დუნდუამ, მოწვეულ მრავალშვილიან დედებს, რომელთაც თავიანთი მხრივ გულწრფელი მადლობა გადაიხადეს ლამაზი წუთებისთვის. შთამბეჭდავი ღონისძიებით, რომლის მომზადებაშიც ამჯერად ქალბატონები რუსუდან კახიანი და იზაბელა ლეგაშვილი მონაწილეობდნენ, ერთად შევეგებეთ გაზაფხულს მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში.

# ქალბატონი რკინიგზელთა ქალაქიდან

ლევან გაბეჩავა




არ არსებობს პროფესია, ქალბატონები რომ არ იყვნენ დასაქმებულნი. გამონაკლისი, არც ერთი შეხედვით ვაჟკაცური რკინიგზელის პროფესიაა.

ქალბატონი მანანა გეგეშიძე როსტოვის რკინიგზის ინჟინერთა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, 1989 წლიდან რკინიგზაზე მუშაობს. ამჟამად საქართველოს რკინიგზის კონტროლის მონიტორინგისა და ინსპექტირების დეპარტამენტის არქივის სექტორის დასავლეთ რეგიონის არქივარიუსია.

აქ სულ ორი თანამშრომელია დასაქმებული. მას დახმარებას სპეციალისტი, ქალბატონი ნანა ბერეკაშვილი უწევს.

180 ათასამდე ერთეული, – ასეთია არქივში შესანახ დოკუმენტთა რაოდენობა. აქ ინახება 1927 წლიდან მოყოლებული რკინიგზის სხვადასხვა ორგანიზაციების ბრძანებები, სახელფასო ბარათები, შრომის წიგნაკები, პირადი საქმეები და სხვა სახის დოკუმენტები. ქალბატონები, წითელი ჯვრის მეშვეობით, ოკუპირებული აფხაზეთის რკინიგზასაც ემსახურებიან თავიანთი კუთხით. უნდა ითქვას, რომ აფხაზეთის ოკუპაციამდე ბევრი მუშაობდა რკინიგზის სამტრედიის განყოფილებაში აფხაზეთის რეგიონიდან.

“წლების უკან საკმაოდ ვიწრო, შეუფერებელ ვითარებაში გვიწევდა მუშაობა, ამჟამად, როგორც ხედავთ, საარქივო დოკუმენტებისათვის ვრცელი ოთახი და შესაბამისი გარემოა შექმნილი. მინდა, ამისათვის მადლობა გადავუხადო ჩვენს ზემდგომებს, ბატონებს: მამუკა ცაგარეიშვილს და იოსებ (სოსო) ვაშაკიძეს.” – გვეუბნება ქალბატონი მანანა.

რკინიგზელთა ოჯახის დიასახლისია ჩვენი რესპონდენტი.

მეუღლე ბატონი კირილე კიკაჩეიშვილი რკინიგზის სამტრედიის ვაგზლის უფროსი გახლდათ. ახლა მამის ადგილს ქალბატონი მანანას ქალიშვილი, სოფიკო კიკაჩეიშვილი იკავებს, რომელიც სამტრედიის რკინიგზის სერვისცენტრის უფროსია. ელმავლის მემანქანის თანაშემწეა ქალბატონი მანანას ვაჟიშვილი, ბექა კიკაჩეიშვილი.

როგორც შევიტყვეთ, ქალბატონ მანანას უზომოდ უყვარს საკუთარი პროფესია და საქმე. “საჭიროების შემთხვევაში მზადა ვართ, დაინტერესებულ პირებს ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი მომსახურება შევთავაზოთ”. – გვეუბნება იგი.

რკინიგზელთა არქივის ახალმოსახლეობის შესახებ ჩვენი გაზეთის დიდმა მეგობარმა, ბატონმა რევაზ შამათავამ, გვამცნო ამ დღეებში. ჩვენც დავინტერესდით და...

ქალთა დღესასწაულების კვირაძალზე შედგა საუბარი ქალბატონ მანანასთან.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ქალთა დღესასწაულებს ვულოცავთ რკინიგზელ ქალბატონს, რომლის ოჯახშიც პატარა შვილიშვილების, კირილესა და ლევანის, სახით მომავალი რკინიგზელები თუ არა, ღირსეული ქართველები აუცილებლად გაიზრდებიან.

ოჯახურ მყუდროებასა და წარმატებებს ვუსურვებთ ქალბატონ მანანას!

# ორი სკოლის ერთობლივი სპექტაკლი მეთორმეტე სკოლაში





**ნათია ნაცვლიშვილი**

მეთორთმეტე საჯარო სკოლასა და მარლენ ბარამიას სახელობის მეექვსე საჯარო სკოლას შორის შემოქმედებითი ინტეგრაცია შედგა. ერთი წლის წინ მეთერთმეტე სკოლის მეორე კლასელებმა (პედაგოგი ნაირა ქორიძე) წარმოადგინეს მოსწავლეთა შესანიშნავი სპექტაკლი ‘‘ტყის ბინადრები’’. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მისი რეჟისორი ერთ-ერთი მშობელი, ჟუკიანა ფოფხაძე იყო. სცენარი კი მისმა თანაკურსელმა ლაშა ხურციამ დაწერა და უსასყიდლოდ გადპატივის მიგებით დაიწყეს. ქალბატონი ლენა დაესწრო სასკოლო სპექტაკლის პრემიერას და ეკრანზე სწორედ იმ ძველმა ჩანაწერმა გაიელვა, როცა მან პედაგოგებს, პატარებსა და მათ მშობლებს თავდადება და შრომა შეუქო.

სპექტაკლში მოქმედება ნაზამთრალ ტყეში ვითარდება, სადაც ცხოველები გაზაფხულის მოსვლას მოუთმენლად ელიან. თოვლი გადნა და სცივათ თხუნელებს, კუს, გაიღვიძეს დათვებმა, მსჯელობენ მელიები, როგორ გაიყონ 2 კურდღელი ოთხმა მელიამ. თუმცა იქვე ადასტურებენ, რომ მეგობრობა მელიებმაც



ასცა ბავშვებს. ამ საინტერესო სპექტაკლის მაღალი რეიტინგიდან გამომდინარე, საჭირო გახდა მისი განმეორება. ქალბატონი ჟუკიანა ამჯერად მეექვსე სკოლას წარმოადგენს და თანამშრომლობა ამ ფაქტორმაც გააძლიერა. თავდაპირველად სცენაზე სწორედ მეექვსე სკოლის მესამეკლასელები წარსდგნენ და საინტერესო მხატვრული კომპოზიციით შესავალი გაუკეთეს წარმოდგენას. მათი პედაგოგი დოდო ქორიძეა. მერე სცენაზე მეთერთმეტესკოლელები წარსდგნენ. ‘‘ტყის ბინადრები’’ საზოგადოებამ უკვე მოიწონა და შეიყვარა.

საღამო სკოლის ყოფილი დირექტორის, დიდი ავტორიტეტის მქონე ქალბატონის, ლენა ხაჟალიას ხსოვნისადმი

იციან. არ დარჩა ცხოველი, სცენაზე რომ არ იყოს წარმოდგენილი, ყველა მათგანი უზენაესს ცხოველთა შორის, ლომს ემორჩილება! თუმცა აქა-იქ საყვედურსაც შეჰბედავენ! მესამე კლასს უკრაინიდან ერთი მოსწავლე შემოემატა, ამან განაპირობა ახალი პერსონაჟის, თეთრი დათვის შემომატება სპექტაკლში. შველი და კურდღელი იმ ადამიანთა დაუდევრობაზე საუბრობენ, რომელნიც ბუნებას ანადგურებენ, ცხოველებს ხოცავენ. ადამიანებს ჩვენ ვერ შევცვლით! გაიჟღერებს ასეთი თეზისიც. ფრინველები წუხან, ადამიანები ხეებს რომ ჭრიან. ყვავიც და მაიმუნიც ლამაზობას ჩემობს, იყავი მერე ლამაზი, მეფობას ჭკუა უნდა_ ასე შეაგონებენ ზოგ ამბიციურ მეგობარს ტყის ბინადრები. წარმოდგენის დასრულების შემდეგ მოსწავლეებს ნამუშევარი შეუქეს სკოლის დირექტორის მოადგილემ, მადონა კოხრეიძემ, რომელიც აღმზრდელობით მუშაობას კურირებს და პედაგოგმა ზოია დოლიძემ, ასევე მე-6 სკოლის პედაგოგმა, დოდო ქორიძემ.

მეექვსე საჯარო სკოლის დირექტორი ლეილა კუბლაშვილი:

‘‘ერთობლივი სპექტაკლის იდეა ორივე მასწავლებელს ეკუთვნის, ისინი შეთანხმდნენ ამაზე, გათვალისწინებული იყო სკოლების მეგობრობაც, ჩემთვის დღეს ძალიან მძიმეა, წარსულ დროში ვისაუბრო ქალბატონ ლენა ხაჟალიაზე, რომელიც იყო შესანიშნავი დირექტორი. აქ დამსწრეთ იციან, მასთან რა ახლო ურთიერთობები მაკავშირებდა... სპექტაკლში მონაწილე ორივე კლასის დამრიგებელი ქორიძეა, ამანაც შეუწყო ხელი იდეის ფრთების შესხმას. მივესალმები, კარგი დასაწყისია, სპექტაკლი ძალიან ადამიანური და ჰუმანურია, დიდი ყურადღება ექცევა ბუნების დაცვის საკითხებს, გლობალური პრობლემაა ეკოლოგიური პრობლემა, იგი დედამიწას დაღუპვით ემუქრება. ბავშვები ახლავე აცნობიერებენ, რომ დედამიწა ჩვენი საერთო სახლია, ამ სპექტაკლში ცხოველები ადამიანებზე ოხრავენ და დარდობენ და მოგვიწოდებენ, ადამიანებო, მიჰხედოთ ბუნებასო. დამებადა კითხვა, ცხოველებმა როგორ უნდა გვაჯობონ და გვასწავლონ დედამიწის სიყვარული? მიუხედავად იმისა, მესამე კლასში შვიდი მოსწავლეა, არის რესურსი, არის შემოქმედებითი სურვილი და მოტივაცია, რაც ყოველთვის წარმატების უპირველესი პირობაა.’’





მეთორმეტე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნანა მანჯგალაძე:

‘‘როცა სპექტაკლის დებიუტი შედგა, ვერ დავესწარი, რადგან სკოლისთვის მნიშვნელოვანი სხვა საქმით ვიყავი დაკავებული, და მას ქალბატონი ლენა დაესწრო, ნეტავი ახლა მე იგივე საქმე მქონდეს და ჩვენი ბავშვების ამ შესანიშნავ წარმოდგენას ისევ ქალბატონი ლენა აფასებდეს! რაც შეეხება ორი სკოლის თანამშრომლობას, ეს ნიშნავს ამ ორივე სკოლის თითოეული მოსწავლისა და მშობლის წარმატებას, ეს არის, პირველ რიგში, დამეგობრება, გამოცდილების გაზიარება, რაც წინაპირობაა წარმატებული მუშაობისა, ამას მივესალმებით, ჩვენ ვთანამშრომლობდით და დღესაც ვაგრძელებთ მე-15 სკოლა-პანსიონთან თანამშრომლობას, ძალიან სასიამოვნოა, რომ კიდევ ახალი სკოლა შემოგვემატა. მოხიბლული ვარ დღევანდელი წარმოდგენით, ტყე არის ის, სადაც კანონი უზენაესობს. ბავშვებო, ამ სპექტაკლით თქვენ დღეს ეზიარეთ კანონის პატივისცემას, ბუნების, გარემოს სიყვარულს, ნათქვამია, ‘‘რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გარდაეცემის.’’

# ამ დაღლილ ხელთან მუდამ ვალში ვარ

**ნათია ნაცვლიშვილი**

***კიდევ ბევრმა მათსავით ლამაზმა გაზაფხულმა უნდა ჩაიაროს სოფლის ორღობე, ვიდრე დედის კალთას ჩაფრენილი ეს პატარა გოგო-ბიჭები დედაშვილობის ფენომენს გააცნობიერებენ. დაფიქრდებიან დედის მიერ შვილისთვის გათეულ ღამეებსა თუ მათ თმებში შემოთოვლილ ჭაღარაზე. მანამდე კი, დედობრივი სიყვარულით აღსავსე მეოთხე ბაგა-ბაღის აღმზრდელმა მარინა კაკაბაძემ მათ დედის დღისადმი მიძღვნილი ლამაზი საგაზაფხულო აქტივობა მოუწყო.***



ეს სასკოლო მზაობის ჯგუფია და მათი შესაძლებლობები მართლაც ამოუწურავია. პატარებმა და პედაგოგებმა როგორც ყოველთვის, ახლაც ორიგინალური ნომრები შემოგვთავაზეს.

ლურჯი იის სამოსში გოგონამ გვამცნო: ბავშვები ხომ დედამიწის ყვავილებია, დღეს ჩვენი დარბაზი მზის ღიმილების სახელმწიფო იქნებაო. ის სახელმწიფო იმ დღეს დედის სიყვარულით იყო დამუხტული, ყველა ლექსი და სიმღერა დედის სიყვარულის სურნელში გახვეულიყო. მართალია, დედის გვირგვინი შვილია, მაგრამ ჩვენ დედიკოებს გვირგვინები მოვუმზადეთო, პატარებმა და დედიკოებს და ბებიკოებს თავიანთი ხელებით ფერადი გვირგვინები დაადგეს თავზე. საინტერესო იყო კლასიკად ქცეული სიმღერის ‘‘გაზაფხული შემოსულა ლენ’’ მათ მიერ შემოთავაზებული ვერსია, ტექსტი დედაზე იყო მორგებული. (ფორტეპიანოსთან მუსიკის პედაგოგი, ლელა გოლიაძე). ‘‘იავნანა’’ უმღერეს პატარებმა თოჯინებს, ისინი ხომ მომავალი დედები არიან. მარინა მასწავლებელმა სცენაზე მისი ყოფილი აღსაზრდელი, ირაკლი კიკვაძეც მოიხმო და ის ამბავი გაიხსენა, რამაც მას დედის დღესთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე ირაკლის მოწვევა გადააწყვეტინა. ‘‘როცა მე ზოია ვაშაკიძის შესანიშნავი სიტყვები ‘‘ვიხუტებ ამ ხელს, თითქოს ბავშვი ვარ, ამ დაღლილ ხელთან მუდამ ვალში ვარ’’ წარმოვთქვი, ავტირდი, ირაკლის დედიკოსათვის უთქვამს, არასოდეს ოდნავადაც არ გავაბრაზებ მარინა მასწავლებელს, რომელსაც დედა ასე უსაზღვროდ უყვარსო’’._ ბრძანა მარინა მასწავლებელმა. ირაკლი დარბაზში მყოფ დედიკოებს ლექსითაც მიესალმა.

ემოციამ პიკს მაშინ მიაღწია, როცა სცენაზე ავიდა ბაგა-ბაღის მმართველი ნანა დუნდუა და საუკეთესო ლექსები წაიკითხა დედაზე. არ დარჩენილა დარბაზში ქალბატონი, სიხარულის ცრემლი არ აკიაფებოდა თვალზე. მარინა მასწავლებელი განსაკუთრებულად მიესალმა აღმზრდელის თანაშემწეებს მაკა ჟვანიასა და ლიკა შუბლაძეს, ლიკა მესამე შვილის მოლოდინშია და მას განსაკუთრებულად მიულოცა დედის დღე.

მშობელთა ჩართულობით პატარებმა გაზაფხულის თემაზე მრგვალ დაფაზე ნახატები დახატეს. ფინალში ისევ დედაზე სიმღერა ააჟღერეს, ყვავილებითა და მისალოცი ბარათებით დედიკოები დაასაჩუქრეს. დარბაზში ასევე გამოფინეს მათ მიერ შესრულებული დედების პორტრეტები. მარინა მასწავლებელმა სტუმრებს ამცნო, რომ ღონისძიების მეორე დღეს გაიმართებოდა ხატვის ნიჭით გამორჩეული ერთ-ერთი აღსაზრდელის, მარიამ კორძაძის პერსონალური გამოფენა.



ბაგა-ბაღის მეთოდისტი მარინა ბაღდავაძე: ‘‘ბავშვებო, არ შეგაშინოთ ჩვენს თვალებზე მოკიაფე ცრემლებმა. ეს თქვენი სიყვარულის, სიხარულისა და ბედნიერების ცრემლებია, ქალბატონო ნანა, თქვენ მარტო ტატოს კი არა, ყველა იმ ადამიანის დედაც ხართ, ვინც ამ შენობაში დადის. თქვენი საზრუნავი და საფიქრალი ეს ბაგა-ბაღია, მადლობა მარინა მასწავლებელო, მადლობა პატარებო, დედიკოებო, იყავით ბედნიერი დედები, თქვენი ჩართულობა ასეთ აქტივობებში ყოველთვის კარგი შედეგის მომტანია, გისურვებთ წარმატებებს.’’

ბაგა-ბაღის მეთოდისტი მარინა ქოჩოვი: ‘‘ჩემს გამოსვლას ყოველთვის ვიწყებ პატარებზე საუბრით, თუმცა ქალბატონი ნანას ემოციურად წაკითხული ლექსის მერე აუცილებლად უნდა დავარღვიო ეს წესი. ულამაზესი ზეიმი იყო, მრავალი ბედნიერი წელი მოგემატოთ, ძვირფასო ქალბატონებო! ბავშვებო ძალიან, კარგები იყავით, ენერგიულები, სხარტები, ჭკვიანები, გამოირჩევით მწყობრი მეტყველებითა და კრიტიკული აზროვნებით. უნდა აღვნიშნო, მარინა კაკაბაძე ერთი წუთითაც არ ტოვებს ამ პატარებს ისე, რომ ახალი ინფორმაცია არ მიაწოდოს, ახალი სააზროვნო თემა არ შესთავაზოს. ასევე უნდა ითქვას, დიდია მშობელთა მხარდაჭერა.’’

ეროვნული მოძრაობის ისტორია სამტრედიაში

# ნეტავ ისეთი, ერთ მუშტად შეკრული საქართველო კიდევ მანახა!

ნათია ნაცვლიშვილი

***მარინა ძიძიგური სამტრედიის ეროვნული მოძრაობის გამოკვეთილი და შთამბეჭდავი სახეა. მისი ოჯახი სამტრედიის ეროვნული მოძრაობის ავანგარდში იდგა _ ფაქტობრივად, ძმებ ძიძიგურებთან ასოცირდებოდა ეროვნული მოძრაობა სამტრედიაში. ქალბატონი მარინა სრული სიზუსტით იხსენებს იმ უმძიმეს წლებს, რომლებიც ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერებთან ერთად გამოიარა მისმა ოჯახმა. ზვიად და კობა ძიძიგურების დამ სამოქალაქო ომის დროს ბევრი განსაცდელი აიტანა და ტერორისა და მრისხანების პერიოდსაც გმირულად გაუძლო.***



**_ ქალბატონო მარინა, ეროვნული მოძრაობის აქტიური მხარდამჭერი იყავით... როგორ დაიწყო ეს მოძრაობა?**

_ ინსტიტუტი 1989 წელს დავამთავრე და ჩემს მშობლიურ ქალაქში, სამტრედიის რაიონულ აფთიაქში დავიწყე მუშაობა. ამ პერიოდში მხოლოდ ხმები ისმოდა ეროვნულ მოძრაობაზე, თორემ პატარა ქალაქი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. გვყავდა რაიკომის მდივანი, აღმასკომის თავმჯდომარე, მილიციის უფროსი და ა.შ. ოჯახიც წყნარად და მშვიდად ცხოვრობდა, ძმები ზვიადი და კობა სტუდენტები იყვნენ და თბილისში ცხოვრობდნენ. სახლში მე, დედა და მამა ვიყავით. მამა 1987 წელს გარდამეცვალა და ვერ მოესწრო ახალ ტალღას, რომელიც ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა ააგორეს. დედა, ნაზი ბზიავა ხშირად ამბობდა: “ კიდევ კარგი, ჩემი მეუღლე ვერ მოესწრო ამ ამბებს, თორემ კაცს შიშით გული გაუსკდებოდა, მისი შვილები ამხელა მონსტრს, საბჭოთა კავშირს შეჭიდებული რომ ენახაო! ზვიადს უკვე დამთავრებული ჰქონდა პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სამუშაოდ იმდროინდელ წულუკიძის რაიონში გაანაწილეს. ჩემმა ძმამ, ზვიადმა სტუდენტობისას გაიცნო ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა და სამტრედიაში ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით “მოწამლული” დაბრუნდა. ჩამოაყალიბა წმინდა “ილია მართლის საზოგადოება” და თავის თანამოაზრეებთან ერთად აქტიურად დაიწყო ბრძოლა კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. ჩემთვის და დედასთვის ეს იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ შიშით გული გვისკდებოდა! სამსახურებრივი ურთიერთობის გამო კარგად ვიცნობდი სამტრედიის პარტიულ ელიტას, ნომენკლატურას და მათთან შეხვედრისას სულ უხერხულად ვგრძნობდი თავს, რომ ასეთი მეამბოხე ძმა მყავდა.

**_ თუმცა ზვიადს არ გასჭირვებია ეროვნული იდეებით ანთებული ახალგაზრდების შემოკრება...**

_ მისი აქტიური მხარდამჭერები იყვნენ ავთანდილ ადეიშვილი და სოსო შუბლაძე, მათ მოგვიანებით მიემატნენ ზაზა ადეიშვილი და იაგო ფრანგიშვილი, ეს ადამიანები იყვნენ ყველა აქციის ორგანიზატორები და სულისჩამდგმელები, რაც კი სამტრედიაში ხორციელდებოდა, დედამ და მე რომ გავიგეთ, რომ რუსეთის საოკუპაციო ჯარს ბოიკოტი გამოუცხადეს და შიმშილობის აქცია დაიწყეს ამ მოთხოვნით, ღამეები არ გვეძინა, სულ ველოდით, რომ ზვიადს და ბიჭებს დაიჭერდნენ, გაკვირვებისაგან ხმას ვეღარ ვიღებდით, როცა დავინახეთ, რომ არათუ დაჭერა, არამედ სიმპატიებიც კი დაიმსახურეს მოსახლეობაში და ზოგიერთი თანამდებობის პირიც კი უჭერდა მათ მხარს, ზოგი ფარულად, ზოგი კი ცხადად. აქტიურ მხარდამჭერთა რიგში იყო სასამართლოს თავმჯდომარე მარლენ ცაცუა და სასამართლოს კანცელარიის მდივანი ალეკო ვახანია. ამ პერიოდში ავთანდილ ადეიშვილმა მანეთიანი ლატარიის ბილეთით მოიგო ავტომანქანა “ჟიგული”. ზვიადს როცა ვეკამათებოდით, ვეუბნებოდით, რომ მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა არ შეიძლება, ყოველთვის მოგვიგებდა, ღმერთმა მანქანა იმიტომ მოაგებინა ავთოს, რომ ნიშანი მივიღეთ და უნდა თავდაუზოგავად ვიბრძოლოთ საქართველოს განთავისუფლებისთვისო. მართლაც, იმ მანქანაში ავთოს ოჯახის წევრებზე ხშირად ბიჭები ისხდნენ და მოდებულნი იყვნენ მთელ რაიონს, ყველგან “აბუნტებდნენ” მოსახლეობას, იმდენი მხარდამჭერი გამოუჩნდათ, საწარმოების გაფიცვებსაც კი ახერხებდნენ და ბოლოს გვარებითაც აღარ მოიხსენიებდა ხალხი ამ ახალგაზრდა ლიდერებს, მხოლოდ სახელით ახსენებდნენ მათ. პირველად სამტრედიის ძაფსახვევ-საგრეხი ფაბრიკის თანამშრომლები გაიფიცნენ, იმხანად ყველა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით იფიცებოდა. ყველა დაწესებულების ხელმძღვანელს შიშით გული უსკდებოდა, როცა ზვიადს და ავთოს თავის საწარმოებაში მისულებს ნახავდა. შედეგი კი, ან იმ დაწესებულების გაფიცვა იყო, ან თანამშრომლების მასობრივი სვლა საპროტესტო აქციაზე. 1989 წელს სამტრედიის სტადიონზე საფეხბურთო მატჩი გაიმართა. ზვიადი ყოველგვარი დღის წესრიგიდან იყო ამოვარდნილი და მე და დედამ არასდროს ვიცოდით, როდის მოდიოდა და როდის მიდიოდა, სად დადიოდა. იმ საღამოსაც გვიანობამდე, ველოდით, გვიან ღამით მილიციიდან დაგვირეკეს და გვითხრეს, ზვიად ძიძიგური და კობა ლორია ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობისთვის არიან დაკავებულნიო! ელდანაცემები გავვარდით მილიციაში, ჩემი ძმა ქამარშეხსნილი და უთასმებო ფეხსაცმლით ისე ლაღად გამოიყურებოდა, გეგონებოდათ, სანატორიუმში უკრეს თავი. თურმე ზვიადი და კობა მოგვიანებით მისულან სტადიონზე, პოლიციელებს უფიქრიათ, ესენი ისეთი ხალხია, აგიტაციისათვის და თამაშის ჩასაშლელად იქნებიან მოსულებიო, სასწრაფოდ დააკავეს და მიაბრძანეს მილიციაში! უფროსი თემურ ჯიბლაძე იყო, რომელმაც თავის კაბინეტში შეგვახვედრა ზვიადს და დედას სთხოვა, აუხსენით თქვენს შვილს, ეს ამბები კარგს არ მოუტანს, წყნარად გააგრძელოს სამსახური და იცხოვროს თავისი ცხოვრებითო. დედას თხოვნა რაში სჭირდებოდა, სულ იმავეს ეხვეწებოდა, მაგრამ ვის ესმოდა! იმ საღამოს ბიჭები არ გამოუშვეს, მილიციის უფროსმა გვითხრა, ხვალ დილით ისეთ ამბავს გაიგებთ, მადლობელი დამრჩებით, ამათ რომ არ ვუშვებო. ძალიან შეწუხებული იყო თემურ ჯიბლაძე, მაგრამ საბჭოთა წესრიგს მიჩვეულ ჩინოვნიკს ვერაფრით გაეგო, რატომ უნდა არეულიყო სიტუაცია და რატომ უნდა ჩაეგდოთ თავი ახალგაზრდებს საფრთხეში!

მეორე დღე 1989 წლის 9 აპრილი იყო! დილით გავიგეთ შემზარავი ამბავი და მთელი ოჯახი გავხდით “მეამბოხეები”! შეგვაძრწუნა ახალგაზრდა გოგო-ბიჭების უმოწყალოდ დახოცვამ ნიჩბებით. ზვიადი უკვე გაათავისუფლეს ერთდღიანი პატიმრობიდან, მაგრამ ქართველი მილიციელები ისე ვაჟკაცურად მოიქცნენ 9 აპრილს, რომ ამ დაკავებას სიტყვითაც კი არ ვაპროტესტებდით. ზვიადმა სრული მხარდაჭერა დაიმსახურა ჩვენგან და მისი მისამართით აგიტაცია-პროპაგანდასაც თავი დავანებეთ. კობა დამოუკიდებლად მოქმედებდა თბილისში, ის ჯერ კიდევ სტუდენტი იყო და როცა ინსტიტუტი დაამთავრა და სამტრედიას დაუბრუნდა, უკვე აღარ სჭირდებოდა ოჯახში სიტუაციის დალაგება, ყველა ერთ აზრზე ვიყავით.

სამტრედია ეროვნული მოძრაობის ცენტრად იქცა დასავლეთ საქართველოში. ყველაზე მასშტაბური რკინიგზის აქცია იყო, მას იმოდენა რეზონანსი ჰქონდა, რომ მთელი საქართველოს ჟურნალისტები სამტრედიაში ჩამოდიოდნენ. აქციის ორგანიზატორი ზვიადი იყო. მაშინ დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ჟურნალისტ ვალერი კვარაცხელიას, ისიც რომ ჩამოვიდა და ინტერვიუებს წერდა, ეს აქციის ორგანიზატორებში დიდ სიხარულს იწვევდა.

ზუსტად იმ დღეებში ბაბუა გარდაგვეცვალა, დედის მამა, რომელიც აბაშაში ცხოვრობდა. ზვიადი დღისით აქციაზე იყო, საღამოთი პანაშვიდზე. მე პანაშვიდებზე ვისმენდი ნათესავების საყვედურებს, რომლებმაც მატარებლით ჩამოსვლა ვერ მოახერხეს და შექმნილი დისკომფორტის გამო აქციის მისამართით უხარმაზარ პროტესტს გამოთქვამდნენ. მათ არ იცოდნენ, რომ აქციის სათავეში ზვიადი იდგა და აღშფოთებას არ მალავდნენ. საწყალ დედას ცალკე მამა ჰყავდა სატირალი და ცალკე ზვიადზე ჯავრობდა. მთელი სანათესავო უკმაყოფილო იყო და მთელი ქვეყანა აბუნტებული!

**_ ზვიად გამსახურდია უშუალოდ თქვენს ოჯახში სტუმრად არ ყოფილა, მაგრამ მასთან თქვენი ძმის ურთიერთობიდან რა მომენტებს გაიხსენებთ?**

_ ერთ საღამოს პანაშვიდებიდან მოსულები სახლში ვისვენებდით, გაისმა ტელეფონის ზარი, დედა მივიდა ტელეფონთან და ყურმილში ესმის: ქალბატონო, ზვიად გამსახურდია გელაპარაკებათ, თუ შეიძლება, ზვიადთან მინდა საუბარიო! სასწრაფოდ ზვიადს დავუძახეთ და ჰოი, საოცრებავ!... 26 წლის ზვიად ძიძიგური ისე “ეჩხუბა” ჩვენს თვალწინ ეროვნული მოძრაობის ლიდერს, რომ წარბიც არ შეუხრია. თავდაპირველად ზვიად გამსახურდიამ მიუსამძიმარა ჩემს ძმას ბაბუის გარდაცვალების გამო და შემდეგ დაამატა, სად გეცლება ახლა შენ აქციისთვის, აქაც მთავრობა ჩვენი მოთხოვნების (დემოკრატიული არჩევნები) შესრულებას გვპირდება და დროებით შევწყვიტოთ აქცია, თუ არ შეასრულეს პირობა, მერე გავაგრძელოთო.

ბატონო ზვიად, თუ თქვენ გჯერათ ნოდარ ჭითანავასი, რომ ეგ რაიმე პირობას შეასრულებს, მე არ მჯერა. არავითარ შემთხვევაში აქციას არ დავშლი, სანამ ჩვენი მოთხოვნები არ შესრულდება. და თუ თქვენ უხერხულში გაყენებენ, მე ჩემს თავზე ვიღებ ამ პროცესს მთლიანად და სამტრედიის “ილია მართლის საზოგადოება” დამოუკიდებლად განაგრძობს აქციას, გავდივართ თქვენი იურისდიქციიდანო! მე და დედა ნერვიულობისაგან ხმასაც ვერ ვიღებდით, ეგლა გვაკლდა!

დავკრძალეთ ბაბუა და საღამოსვე აქციაზე გავქანდი, საოცარი სანახავი იყო მატარებლის წინ მშვიდად ჩამომსხდარი ახალგაზრდები, ანთებული თვალებით და მგზნებარე გულით! და უამრავი ადამიანი... მშობლები და ახლობლები, გულშემატკივრები, უბრალოდ მოქალაქეები! ეს სიტუაცია გულგრილს არავის ტოვებდა, ერთი იდეა გვასულდგმულებდა ყველას _ საქართველოს თავისუფლება უნდა მოეპოვებინა!

აღარ მახსოვს, ვინ გამოდიოდა სიტყვით, მაგრამ ორატორმა გვთხოვა, არ არის საჭირო ამდენი ადამიანის მორიგეობა, თუ რაიმე გაგვიჭირდა, ელმავლის სირენის მეშვეობით გაგაგებინებთ და არ დაიზაროთ, საშველად გამოდითო. გავიგეთ, რომ ხელისუფლება რაღაცას გეგმავს და თანადგომა დაგვჭირდებაო. წავედით სახლებში და შუაღამით გულგახეთქილს გამეღვიძა. ელმავალი თავგანწირული კიოდა, გაუჩერებლად! როგორ გამოვიქეცი, არ მახსოვს. დედა ვერაფერს მიხვდა, სად გავრბოდი ამ შუაღამით! ახსნის დრო სადღა იყო, მოვრბივარ სამტრედიის ქუჩებში და რას ვხედავ: ქალი, კაცი, ბავშვი ხალათებმოსხმული ქვემოდან რომ პიჟამოები მოუჩანდათ ისე, მოთქმა-გოდებით მირბიან რკინიგზის სადგურისაკენ და ყველას პირზე აკერია: ვაიმე, შვილებო! სირენა კი არ ჩუმდება! ჩვენ ტროტუარზე გავრბივართ, ხოლო ქუჩა სავსეა ჯავშან-ტექნიკით და დიდი მანქანებით, რომლითაც ჯარისკაცები გადაჰყავდათ. ამ ღია ბორტზე მჯდომი რუსი ჯარისკაცები ისეთი გაოცებულები იყურებოდნენ, ვერ გაეგოთ, ამდენი ხალხი ამ შუაღამით აკვილებული და აქოთქოთებული რატომ დარბოდა ჩაბნელებული ქალაქის ქუჩებში. კოლონამ ხონის მიმართულებით აიღო გეზი და არც უფიქრია ლიანდაგებთან მიახლოვება! მივხვდით, რომ მანევრი იყო შესაშინებლად. კიდევაც შეგვეშინდა, მაგრამ ამ შიშმა შეგვკრა და ვინც არ თანაუგრძნობდა ამ მოძრაობას, ისინიც კი ქუჩაში გამოიყვანა ახალგაზრდების დასაცავად! სახლისკენ უკან მიმავალს ხალათმოსხმული, საღამურიანი დედა შემომხვდა და არაფრით არ დაბრუნდა უკან, სანამ ზვიადს თვალი არ შეავლო! ზვიადი იმ საღამოს და კიდევ რამდენ საღამოს სახლში არ მოსულა!

ჩემთვის ასე დაიწყო ეროვნული მოძრაობა სამტრედიაში და რამდენი ხანი უნდა გავიდეს, რომ ის განცდები დამავიწყდეს. ლენინის ძეგლის შეღებვა, მერე ძეგლის ჩამოგდება, რა გულუბრყვილობაა ახლა ეს ყველაფერი, მაგრამ იმ ემოციებს ვერაფერი შეედრება! ნეტავ ისეთი ერთიანი, გულანთებული და ერთ მუშტად შეკრული საქართველო კიდევ მანახა!

მე და დედა უკვე ზვიადის ისეთი თანამებრძოლები გავხდით, ჩვენ თვითონ ვქადაგებდით დამოუკიდებლობის იდეას. კობამაც დაამთავრა ინსტიტუტი და უკვე სამტრედიაში დაუდგა თავის ძმას გვერდით.

სამტრედიის რკინიგზის აქციის შემდეგ ჩატარდა მრავალპარტიული არჩევნები და ქვეყნის მმართველობის სათავეებთან მოვიდა “მრგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო”. ზვიად გამსახურდია ავირჩიეთ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ და დავიწყეთ ახალი ქვეყნის შენება! ზვიადი აირჩიეს უზენაესი საბჭოს დეპუტატად და მალევე დაინიშნა სამტრედიის პრეფექტად. დედა, კობა და მე ყველანაირად ხელს ვუწყობდით და ვეხმარებოდით, ვცდილობდით, საოჯახო საქმეებით და პრობლემებით არ შეგვეწუხებინა, განსაკუთრებით კი დედა. მე და კობა სამსახურში დავდიოდით და დედას მხრებზე გადადიოდა მთელი ოჯახის სიმძიმე. ჩემს ირგვლივ ყველა აღმშენებლობის, ძველის შეცვლის და საქართველოს გაბრწყინების სურვილით იყო შეპყრობილი, ყველა ეროვნული მოღვაწე გახდა. მახსოვს, ზვიად გამსახურდია ტელევიზიით გამოვიდა და მოსახლეობას მოუწოდა, ახალი სახელმწიფო ვართ, რესურსების ნაკლებობასაც ვუჩივით, რუსეთი აღარაფერში დაგვეხმარება და გთხოვთ, ეკონომიის მიზნით, ოჯახებში თითო ნათურა აანთეთო. მეზობლები ერთმანეთის სახლებშიც კი აქრობდნენ ნათურებს და კეტავდნენ ონკანებს, რომ ზედმეტი წყალი არ დაღვრილიყო.

ჩემი ძმა, ზვიადი, უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქმეს, ხან ყანებში დადიოდა ნათესების სანახავად, ხან ასფალტის დაგების ტემპს ამოწმებდა, ის დრო დადგა, რომ გუშინდელი მოწინააღმდეგეები ყველანი ჩემი ძმის კეთილგანწყობის მოპოვებას ცდილობდნენ. ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი ეროვნული გვარდიის შექმნას, იმხანად დაიწყო სამტრედიის ეკლესიის მშენებლობა, დიდი გეგმები ჰქონდა როგორც ზვიად გამსახურდიას, ისე ზვიად ძიძიგურს, მიჯაჭვულები ვიყავით ტელეეკრანს და მოუთმენლად ველოდით “მოამბის” დაწყებას!

დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადება როგორი დღესასწაული იყო! ვიცოდი, ეს რომ ხდებოდა, ზვიადმა წინასწარ გვითხრა და დილით ადრე თბილისში წავიდა, რომ სხდომას დასწრებოდა. სამსახურში ინფორმაცია მივიტანე, ყველა მოუთმენლად ელოდა უზენაესი საბჭოს სესიის დაწყებას. აფთიაქის გამგემ, ეთერ სირაძემ, ტელევიზორი ჩართო და ვისაც სამუშაო რეჟიმი საშუალებას აძლევდა, ყველა მის კაბინეტში ვიყავით თავმოყრილები. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ჩემი ძმის ხელმოწერაა!

**_ კანონიერი ხელისუფლების დამხობისთანავე თქვენი ოჯახი პოლიტოპონენტთა მთავარ სამიზნედ იქცა, ზვიადისტებს საშინელი მეთოდებით გაუსწორდნენ, დიდი დარტყმა მიიღო თქვენმა ოჯახმაც _ ძმები და მეუღლე ციხეში, თქვენ _ გარეთ! თქვენ და დედათქვენს მათზე არანაკლებ დიდი ტკივილის გადატანა მოგიხდათ, რადგან იმყოფებოდით იმ სასამართლო სხდომის დარბაზში, სადაც მოსამართლემ ზვიად ძიძიგურს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა! ამას მოჰყვა თქვენი ძმების პოლიტპატიმრობის წლები, გაიხსენეთ, როგორი იყო ის პერიოდი, რამდენ უსამართლობასთან გიხდებოდათ შეხება.**

_ გადატრიალების შემდეგ გარკვეული პერიოდი ბიჭები სოხუმში იყვნენ. იქ დეიდა და ბიძა ცხოვრობდნენ თავიანთი ოჯახებით და იმათ შეაფარეს თავი, მაგრამ მალევე ბათუმში ჩამოვიდნენ. ამ პერიოდში ოჯახი შევქმენი და მეუღლეც მათი თანამებრძოლთა რიგებიდან ავირჩიე. იმ პერიოდის მოყოლით თავს არ შეგაწყენთ, ერთს ვიტყვი მხოლოდ, რაიონის ხელმძღვანელობამ და და “მხედრიონმა” მიზანშეუწონლად ჩათვალეს ჩემი აფთიაქში მუშაობა და გამანთავისუფლეს სამსახურიდან. რაიონის ხელმძღვანელი გახლდათ ნოდარ ძნელაძე, რომელიც მე და დედას ხშირად გვსტუმრობდა სახლში, მაგრამ თან გვეუბნებოდა, რომ მას “მხედრიონზე არანაირი გავლენა არ ჰქონდა და ის უსამართლობა, რაც ხდებოდა, მისგან დამოუკიდებლად ხორციელდებოდა”. 1995 წელს ბიჭები დაიჭირეს _ ძმები და მეუღლე. მათთან ერთად ორი მათი მეგობარი_ ზაზა დანელია და გია ყორბესაშვილი. მე თბილისში ვიყავი, დედა სამტრედიაში, არ მახსოვს დედამ ვისგან გაიგო ეს ამბავი, მაგრამ ღირსეულად შეხვდა განსაცდელს. ისეთი მხარდაჭერა და შემართება იგრძნობოდა მის მოწერილ ყველა ბარათში, რომ ბიჭებზე არანაკლებ გაიცნო ხალხმა ნაზი ბზიავა. წერილები, რომლებსაც ბიჭებს ციხეში უგზავნიდა, ხშირად იბეჭდებოდა იმდროინდელ პრესაში, ყველაზე პოპულარული გაზეთი იყო “იბერია-სპექტრი,” რომელიც გამოსვლისთანავე იყიდებოდა. მის ფურცლებზე დოვკაძეგელბახიანის, წიკლაურის გვარების შემდეგ აქტიურად ჩნდებოდა ძიძიგურების გვარებიც, ე. წ. ზვიადისტების სასამართლო პროცესები აქტიურად შუქდებოდა.

სასამართლო პროცესამდე მისვლა ბევრად უფრო ძნელი იყო, წინასწარი გამოძიება, დაკითხვები 9 თვე გაგრძელდა. ზვიადის საქმე ლოთი ქობალიას საქმეს მიაბეს და ერთად ასამართლებდნენ (ლოთი ქობალია, ნუგზარ მოლოდინაშვილი, ჯამბულ ბოკუჩავა და ზვიად ძიძიგური) ამ საქმის გამოძიებას ანზორ ბალუაშვილი ხელმძღვანელობდა, ამ 9 თვის განმავლობაში ბიჭები ციხეში იბრძოდნენ რაც შეეძლოთ, მე და დედა კი, გარეთ. სულ მეშინოდა, სამტრედიაში დარჩენილ დედას ჯანმრთელობის პრობლემა არ შექმნოდა, მაგრამ ამ გასაჭირს ისე მედგრად იტანდა, შეშურდებოდა ნებისმიერ ვაჟკაცს. სამტრედიელი “ზვიადისტები” ჩვენს სახლს ხუმრობით შტაბს ეძახდნენ, აქ ღებულობდნენ პოლიტიკურ ინფორმაციას, იოხებდნენ გულს და ბოლოს დედა თავისი დაწურული ადესითაც უმასპინძლდებოდა ყველას (ღვინის დაყენებაც კი ისწავლა იმ გაჭირვებაში).

თბილისში დავდიოდით საელჩოებში, ვაგზავნიდით საპროტესტო წერილებს, ვითხოვდით შუამდგომლობებს მთავრობასთან, ბიჭები ციხიდან აგზავნიდნენ წერილებს და ინტერვიუებს და უნდა აღვნიშნო, რომ ამაში ციხის ადმინისტრაცია ხელს არ უშლიდა. ჟურნალისტთა კორპუსი გვერდით გვედგა, აშკარად იგრძნობოდა, რომ მათი სიმპათიები სამშობლოს ღალატში მსჯავრდებულთა მიმართ იყო! ყოველ შემთხვევაში, პროცესებზე უმეტესად “ჩვენიანი” ჟურნალისტები დადიოდნენ.

პროკურორებს ზვიადისა და ლოთი ქობალიასთვის დახვრეტის მუხლი ჰქონდათ მოთხოვნილი. ერთი თვე განაჩენს ველოდით, ამ ხნის განმავლობაში იმდენი თანადგომა, თანაგრძნობა და სიყვარული გამოგვიცხადა ხალხმა, ცოტათი შეგვიმსუბუქდა აუტანელი მოლოდინის გრძნობა. განსაკუთრებით უნდა გამოვყო სამტრედიის იმდროინდელი დეპუტატის, ტარიელ ჩაჩუას, თანადგომა, ის გამოვიდა ტელევიზიით, მოუწოდა ხალხს ჩვენი ოჯახის მხარდაჭერისაკენ და დაიწყო ხელმოწერების შეგროვება ზვიადის გათავისუფლების მოთხოვნით. იმ პერიოდში ამის გაკეთებას დიდი გაბედულება სჭირდებოდა!

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# რეზო შანიძის სახელობის ტურნირი სწრაფ ჭადრაკში









**ნინო ნანიტაშვილი**

უკვე მესამედ ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტში ტურნირი სწრაფ ჭადრაკში, რომელიც წარსულში ღვაწლმოსილი პიროვნების, ჭადრაკის მწვრთნელ-მასწავლებლის, რეზო შანიძის ხსოვნას ეძღვნება. ტურნირს მეორე წელია, წმინდა ნაზარი ლეჟავას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა მასპინძლობს. ბატონი რეზო შანიძე ბოლო პერიოდში სწორედ მართლმადიდებლური სკოლის მოსწავლეებს ჭადრაკის ხელოვნებას აზიარებდა.

ტურნირის 16 მონაწილეთა შორის იყვნენ, როგორც ვეტერანი, ასევე ახალგაზრდა მოჭადრაკეები. ტურნირი წრიული სისტემით ჩატარდა, ყველა მოთამაშე შეხვდა ერთმანეთს და საბოლოოდ საუკეთესო შედეგის მქონე მონაწილეები გამოვლინდნენ.

პირველი ადგილის მფლობელი შარშანდელი გამარჯვებული სიმონიკა ხაჟალია აღმოჩნდა. მეორე ადგილზე კი ჭადრაკის ვეტერანი მასწავლებელი მერაბ არჩვაძე გავიდა. მესამე ადგილი დაიკავა მართლმადიდებლური სკოლის ყოფილმა მოსწავლემ, საბა არაბიძემ. ტურნირი სწრაფ ჭადრაკში დაჯილდოვების ცერემონიალით დასრულდა.

თამაშებს თვალს ადევნებდნენ ჭადრაკის მოყვარულები, მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია, მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის, სპორტული სკოლის წარმომადგენლები, სამტრედიის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარე. კობა ძიძიგურმა მადლობა გადაუხადა ტურნირის მონაწილეებს, ორგანიზატორებს, მართლმადიდებლური სკოლის ადმინისტრაციას მასპინძლობისთვის. ისაუბრა რეზო შანიძის განვლილ გზასა და დამსახურებაზე.

"ბატონი რეზო შანიძე ბევრს ახსოვს, როგორც მოწესრიგებული და ღირსეული პიროვნება. სასიამოვნო იყო მასთან ურთიერთობა, განსაკუთრებით – ჭადრაკის თამაში. ბავშვობის წლებიდან მახსოვს მისი გამორჩეული შეხედულებები ცალკეული მოვლენების მიმართ, მისი დამოკიდებულება, სიყვარული ჭადრაკის მიმართ. რეზო შანიძის ცნობილი შეგონებაა: "ჭკუის, გონების და აზროვნების განვითარების უებარ წამალს, მიაგნებს იგი, ვინც კი ისწავლის დედა ენას და ჭადრაკს". ტურნირი სწრაფ ჭადრაკში პირადად ჩემთვის ძალიან სასიხარულო და სახალისო აღმოჩნდა; განსაკუთრებით, ახალგაზრდა მონაწილეებთან ძალიან სასიამოვნო შეგრძნებები გამიჩნდა. გამახსენდა ჩემი ბავშვობა, როგორი დაძაბულობით და შემართებით იყვნენ განწყობილები ტურნირის პატარა მონაწილეები. მათი მონდომება უკვალოდ არ ჩაივლის. დარწმუნებული ვარ, ეს პატარები მომავალში ძალიან აზრიანი, გონიერი ადამიანები გაიზრდებიან".

მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ, პირობა დადო, რეზო შანიძის სახელობის ტურნირი სწრაფ ჭადრაკში მუნიციპალიტეტის ყოველწლიურ სპორტულ კალენდარში ჩაისმება.

"მოხარული ვარ იმით, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში ერთ კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი. მინდა ყველას ვუთხრა, რომ გადაწყვეტილი გვაქვს, მუნიციპალიტეტის სპორტულ კალენდარში ჩავსვათ რეზო შანიძის, ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი სწრაფ ჭადრაკში. რაც შეეხება დღევანდელ დღეს, მადლობას ვუხდი სამტრედიის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარეს. კობა ძიძიგური ძალისხმევას არ იშურებს, სპორტის ეს სახეობა პოპულარული იყოს. მოჭადრაკეების წარმატებების მისაღწევად მაქსიმალურ ენერგიას ხარჯავს. ბატონ რეზო შანიძესთან წარსულში მეც მქონდა პირადი ურთიერთობები. ის ნამდვილად იმსახურებს სამტრედიელი საზოგადოებისაგან დაფასებას და ყურადღებას".

ტურნირს ესწრებოდნენ და თავადაც აქტიურად მონაწილეობდნენ რეზო შანიძის ოჯახის წევრები. თამაზ შანიძემ მამის სახელის უკვდავყოფისთვის მადლობა გადაუხადა ტურნირის ინიციატორებსა და ორგანიზატორებს. რეზო შანიძის შვილიშვილმა, სანდრომ, ტურნირის ყველაზე პატარა მონაწილეს, საქართველოს ჩემპიონს 7 წლამდე ასაკის ჭაბუკებს შორის, ლუკა რუხაძეს თასი გადასცა. ბოლოს ყველამ ერთად სამახსოვრო სურათი გადაიღო.



## ლუკა რუხაძემ საქართველოს საგზური მოიპოვა

დამთავრდა იმერეთის ჩემპიონატი ჭადრაკში. 8 წლის ჭაბუკთა შორის მესამე საპრიზო ადგილი და საქართველოს საგზური მოიპოვა 7 წლის ნიჭიერმა მოჭადრაკემ ლუკა რუხაძემ (მწვრთნელი ბესო ლეჟავა).

მიმდინარე წლის მაისში თბილისში გაიმართება საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ლუკა რუხაძე. წარმატებები ვუსურვოთ პატარა მოჭადრაკეს!

***გულიკო გოგიტიძე***
***ფაზისისა და ქალდეას აკადემიის აკადემიკოსი***



## შეჩერდი, წამო!

არავინ დავობს, რომ კაცობრიობის ერთ-ერთი დიდი მიღწევა ფოტოგრაფიაა. არც ის წარმოადგენს სიახლეს, დღევანდელი რეალობა ხვალ, ზეგ სამერმისოდ ისტორიად რომ იქცევა, ლამაზ ისტორიად, განუმეორებელ წამებად.

ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტის, ბატონ რომან ბექაიას, მიერააა გადაღებული ეს ფოტო 1979 წლის 1-ლ მაისს, მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს სამტრედიაში.

სურათზე გამოსახულნი არიან ყოფილი რუსული (ამჟამად ქალაქის მეოთხე) საშუალო სკოლის პედაგოგები, რომელთაც წინ სკოლის ლეგენდარული დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი და განათლების განყოფილების ყოფილი გამგე, ქალბატონი ტატიანა გეგუჩაძე მიუძღვის.

ვიმედოვნებთ, ბევრს მოჰგვრის სიამოვნებას 40 წლის წინ გადაღებული ამ ერთი ჩვეულებრივი ფოტოს ხილვა.

***ლევან გაბიჩავა***



# 5 იდეა

გამოვდივარ იდეით, რომ დაარსდეს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის ''სამტრედიის ველოტურნირი'' და დაიდგას ველოსიპედის ძეგლი, რომელიმე გამორჩეულ ადგილას, ისევე როგორც დგას ისტორიული ორთქლმავალი სამტრედიის რკინიგზის სადგურთან.

პირველი უსატერფულო ხის ველოსიპედი 1817 წელს გამოიგონა გერმანელმა გამომგონებელმა კარლ ფონ დრეიზმა. 1860 წელს პარიზელმა მეეტლე პიერ მიშომ ორთვალიან ტრანსპორტს სატერფულები გაუკეთა და წარმოებაში გაუშვა, სწორედ მან დაარქვა ამ ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტს ''ველოსიპედი''.

საქართველოში, კერძოდ, სამტრედიის რაიონის სოფელ დიდ ჯიხაიშში პიერ მიშოს ფირმის ველოსიპედი პირველად 1890-იან წლებში პარიზის საერთაშორისო გამოფენიდან ჩამოიტანა დიდმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ ნიკო ნიკოლაძემ. ცნობისთვის, დიდი ჯიხაიში ნიკო ნიკოლაძის დედულეთია. იქ, მან სახლი ააშენა და ერთხანს ცხოვრობდა, ერთი შვილიც იქ შეეძინა, სადაც ამჟამად ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმი მდებარეობს და ინახება რაიონში აღნიშნული ტრანსპორტის სახეობა. უდავოა, რომ სწორედ ამ ფაქტმა განაპირობა სამტრედიის რაიონში ველოსიპედის გავრცელება, რასაც სწორმა რელიეფმაც შეუწყო ხელი. მე-20 საუკუნეში სამტრედიის ყველა ბარის სოფლის ოჯახს ჰქონდა სხვადასხვა ფირმის ველოსიპედი: ''არლიონოკი'', ''დესნა 2'', ''უკრაინა'', ''სალიუტი'', ''გონჩი'' და სხვა. ველოსიპედი დღესდღეობითაც ძალიან პოპულარული ტრანსპორტის სახეობაა სამტრედიაში.

სამტრედიის რაიონის სოფელ დიდი ჯიხაიშიდან გახლავთ მსოფლიოში ცნობილი ქართველი ველომრბოლელი და გინესის რეკორდსმენი ჯუმბერ ლეჟავა. 1993 წლის 13 აგვისტოდან 2003 წლის 3 ნოემბრამდე ველოსიპედით იმოგზაურა მსოფლიოს გარშემო: 3333 დღის განმავლობაში გადალახა აზიის, ავსტრალია-ოკეანეთის, ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის, ევროპისა და აფრიკის 234 ქვეყანა და დამოუკიდებული ტერიტორია, 2-ჯერ ეწვია ანტარქტიდას; გადაიღო 50 000-ზე მეტი ფოტოკადრი და 200 საათზე მეტი ხანგრძლივობის ვიდეოფირი; შექმნა მოგზაურობის 7 000 გვერდიანი დღიური.

1956 წელს სამტრედიაში მოეწყო სპარტაკიადა, რომელშიც 9 რაიონის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. სამტრედიელებმა ველოსპორტში პირველი ადგილი დაიკავეს. სამტრედიელი წარმატებული ველომრბოლელი ქალებიდან აღსანიშნავია ლამარა არველაძე.

ზემოხსენებული მოცემულობებიდან გამომდინარე, ვთვლი, რომ გონივრული და აუცილებელია, სამტრედიაში დაარსდეს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის ველორბოლის ჩემპიონატი, რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას სამტრედიელ ახალგაზრდებში. ასევე ადეკვატურია, საზეიმო ვითარებაში გაიხსნას ველოსიპედის ძეგლი სამტრედიაში. ველოსიპედი სამტრედიის ერთ-ერთი გამორჩეული სიმბოლოა მტრედთან და ორთქლმავალთან ერთად. ცნობისათვის, სამტრედიის რკინიგზის დეპო დაარსდა 1893 წელს, ანუ ნიკო ნიკოლაძის მიერ სამტრედიაში პირველი ველოსიპედის ჩამოყვანიდან 5 წლის შემდეგ. ვინაიდან, ველოსიპედით სიარული სასარგებლოა სახსრებისთვის, ძვლების სიმაგრისთვის, გულის, ტვინისა და სისხლძარღვების მუშაობისთვის, ჯანმრთელობისთვის, ამ სპორტის სახეობას პოპულარიზაცია უნდა გავუწიოთ ჩვენს მშობლიურ ქალაქში. კარგი იქნება, რომ სამტრედიაში დაარსდეს ''ველოკლუბი – სამტრედია'', რომელშიც გაწევრიანდებიან ველომოყვარული სამტრედიელები, მოემზადებიან და მიიღებენ მონაწილეობას საქართველოში მოწყობილ ველოშეჯიბრებებში. ცნობისათვის, ველოკლუბი არსებობს: გურიაში, თბილისში, თერჯოლაში, ქუთაისში, წყალტუბოში, ფოთში, ქედაში.

2018 წლის 24 ოქტომბერს ფეისბუქით პირველად გავაჟღერე, რომ გამოცემულიყო წიგნი, სადაც თავმოყრილი იქნებოდა ყველა ცნობილი, გამორჩეული სამტრედიელი, აღნიშნული წიგნის პრეზენტაციის დღეს მომხდარიყო ჯ. ლეჟავას სახელობის ველოტურნირის დაარსება სამტრედიაში, რომელსაც წელს 80 წელი უსრულდება. ამასთანავე, ქალაქ სამტრედიის დაარსებიდან 2021 წელს გადის 100 წელი. პოსტში გამოთქმულია იმედი, რომ ამ იდეას მხარს დაუჭერს ადგილობრივი ხელისუფლება და გამოიყოფა სახსრები მისი ხორცშესხმისთვის.

2018 წლის 24 ოქტომბერს ფეისბუქზე შევქმენი გვერდი ''სამტრედია-ცნობილი სამტრედიელები'', სადაც დღემდე თავს ვუყრი გამორჩენილ სამტრედიელებს და ვკრებ ინფორმაციებს სამტრედიის სოფლების შესახებ, შესაბამის ტექსტებს გვერდზე ვანთავსებ კონკრეტული სოფლის რაიმე ღირსშესანიშნავი შენობის ფოტოს დართვით (ამ მომენტისთვის აღნიშნული ფეისგვერდზე, ჯერჯერობით, თავმოყრილი მაქვს 30 სოფლისა და 60 ცნობილი სამტრედიელის შესახებ ინფორმაცია, ვკრებ ხელოვნების, კინემატოგრაფიის, სპორტის და მეცნიერების წარმომადგენლებს, ასევე, აფხაზეთისა და აგვისტოს ომის გმირებს).

სამტრედიის რაიონული გაზეთის ''სამტრედიის მაცნე'' 2019 წლის 10 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა თსუ-ს ასისტენტ-პროფესორის, გიორგი დვალაშვილის სტატია, სადაც ავტორი წერს, რომ გამოსაცემად ამზადებს ახალ წიგნს, რომელშიც თავმოყრილი იქნება სამტრედიის რაიონის 51 სოფლის შესახებ ინფორმაცია, წიგნს დართული ექნება ფერადი ილუსტრაციები, სოფლების ფოტოებისა და რუკების სახით. წიგნი მიეძღვნება ველომრბოლელ ჯუმბერ ლეჟავას ხსოვნას, რომელსაც 2019 წლის 23 ივლისს 80 წელი უსრულდება, წიგნის გამოცემა დაასპონსორა სამტრედიელმა ბიზნესმენმა გიორგი დალალიშვილმა. გიორგი დვალიშვილმა თანამშრომლობა შემომთავაზა, აგრეთვე იმყოფებოდა ჩემ სოფელში – ჩხენიშში, სადაც კიდევ ერთი იდეის შესახებ ვისაუბრეთ, კერძოდ, ქ. სამტრედიაში დაარსდეს ლიტერატურული კაფე, სადაც მოეწყობა ლიტერატურული საღამოები და შეხვედრები. სამტრედიას ჰყავდა და ჰყავს არაერთი ნიჭიერი პოეტი. გარდაცვლილებიდან: კარლო კალაძე, სამუელ მოძღვრიშვილი, ნოდარ ადეიშვილი, გრიგოლ ჯულუხიძე, შალვა ჩიტიშვილი, ანდრო თევზაძე, კარლო კაჭარავა, ამირან კალაძე, ჯემალ ტაბიძე. ცოცხლებიდან: ზოია ვაშაკიძე, ილია ლეკვეიშვილი, მანანა ტონია, მარინა ხუჭუა, ანზორ გეგუჩაძე, თეიმურაზ ჯულაყიძე, თინათინ აბზიანიძე, რატი ამაღლობელი, ანტონ გაგუა, ბექა ფოცხვერია, ნინო ჭიქაშუა და სხვები.

იმედი, მაქვს რომ ზემოხსენებულ კარგ იდეებს ეყოლება ბევრი მხარდამჭერი და ჩვენ ერთად შევძლებთ მათ პრაქტიკულ რეალიზებას.

P.S. ცნობისთვის, საქართველოში არსებობს ჯუმბერ ლეჟავას სახელობის ველოტური – ''საქართველო მშვიდობისთვის'', ველოტურის ორგანიზატორია საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაცია ''ყველა ერთისათვის'', თავმჯდომარე ნოდარ ბერიძე.

**თემურ ჭახნაკია**

# მონატრება

იცი, დე, დღეს შენზე ფიქრი უფრო მომეძალა და მივხვდი, რომ უკეთესი არავინ მყავს. ალბათ, ამას რომ წაიკითხავ, იტირებ, არ მინდა იტირო, დე! სულ იმაზე ვფიქრობ, როგორ აღმოვჩნდით მე და შენ ამ მდგომარეობაში ისე, რომ ვერც შენ გაიგე და ვერც მე, რა დაგვემართა. მე, რომელსაც შენ გარეშე ერთი წუთითაც არ შემეძლო ყოფნა, უკვე ხუთი წელია, არ მინახიხარ. შენ, რომელიც ერთი წუთითაც არ ტოვებდი სახლს, დღეს ათასობით კილომეტრი გვაშორებს ერთმანეთს, და, კიდევ ხუთი წელი! 13 წლის ვიყავი, რომ წახვედი, ახლა 18-ისა ვარ, დე, დიდი გოგო ვარ უკვე!

ხანდახან მგონია, სიზმარში ვარ, გავიღვიძებ და ყველაფერი კარგად იქნება, შენ ისევ სახლში იქნები!

დე, იცი, პირველად როდის მივხვდი, რომ წახვედი? მაშინ არა, როცა აეროპორტში ვიყავით და გიყურებდი, როგორ მშორდებოდი ნელ-ნელა. არც მაშინ, როცა კომპიუტერის ეკრანზე ვერ დაგინახე კარგად. აი მაშინ, როცა სახლის კარი შევაღე და იქ არ იყავი, ვერ დაგინახე! შენი ხმა ვერ გავიგონე! იმ წუთში შემზიზღდა სახლიც და ყველაფერი, საერთოდ!

მერამდენედ მივულოცეთ ერთმანეთს უკვე დაბადების დღე ტელეფონით, რამდენი ახალი წელი მოვიდა უშენოდ! ხუთი წელი, კაცმა რომ თქვას, სულაც არ არის ბევრი, მაგრამ ჩემთვის უსაზღვროდ ბევრია!

გახსოვს, როგორ მიბრაზდებოდი ხოლმე, მერე მალე გადაგივლიდა წყენა და მეფერებოდი. იცი, რა მახსოვს ყველაზე მეტად? რომ მეუბნებოდი ხოლმე, მარიკო, გაიღიმე, რაც უნდა მოხდეს, სულ გაიღიმე! დაგიჯერე, ვცდილობ გავიღიმო, მაგრამ მეტირება, არ გამომდის ნიღბით ცხოვრება, დე!

იცი, რას ვნანობ? ზოგჯერ რომ გეუბნებოდი: ''შემეშვი დედა, არ მინდა დედა, დამანებე რა თავი, დე''. ვნანობ, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი, თუ დაგვაშორებდნენ, მაპატიე, დედიკო!

შენ რომ ჩემთან იყო, ყველაფერი უფრო კარგად იქნებოდა, მე უფრო კარგი გოგო ვიქნებოდი და შენც ჩემით იამაყებდი. არავისგან მინდა იმის მოსმენა, რომ დღეს ნახევარი საქართველოს ბავშვები ჩემს დღეში არიან. არ ვიცი, სხვაგან რა ხდება, მაგრამ მე ვიცი, რომ დამავიწყდა!.. რა დამავიწყდა? შენი სურნელი, შენი ღიმილი, შენი ჩახუტება და კოცნა დამავიწყდა, დე! ვიცი, მაგრად უნდა შემენახა... მაინც დამავიწყდა!!!

ვფიქრობ და, ჩემი აზრით, ბედნიერება რაღაც სისულელეებში კი არაა, არამედ იმაშია, რომ სახლის კარებს შეაღებ: მამა, გაზეთით ხელში, სავარძელში ზის, ამოგხედავს და გეტყვის: ''მოხვედი, მარიკო?'' ხოლო დედა წინსაფარაფარებული სამზარეულოდან გამოვა და გეტყვის: ''შვილო, შენი საყვარელი კერძი მოვამზადე, ჩაგეხუტება და გაკოცებს, მოგეფერება. აი, მაშინ ვიგრძნობდი, რომ ბედნიერი, ცოცხალი ვარ!

გელოდები, დე! მიყვარხარ. არ ვიცი, სანამდე გაგრძელდება ჩემი (და შენი) მოლოდინი.

დედის დღეს გილოცავ, დედიკო!

**მარიამ ლორია**
**აკაკი შანიძის სახელობის ნოღის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლე**

# ''რა სარგებლობა მოაქვს მამალს?''



უთუოდ გვახსოვს საყოველთაოდ ცნობილი კითხვა მხატვრული ფილმიდან ''იმერული ესკიზები''. კითხვას გაკვეთილზე სვამს მასწავლებელი და პასუხიც არ აყოვნებს.

და მაინც, ვინ არის მსახიობი ქალბატონი, რომელიც ''იმერულ ესკიზებში'' მასწავლებელს განასახიერებს?

ფილმი მოგეხსენებათ, იმერეთშია გადაღებული, ფილმის რეჟისორი ქალბატონი ნანა მჭედლიძე ბევრს მოგზაურობდა შესაფერისი პერსონაჟების აღმოსაჩენად და აი, ერთხელ, როცა საბანკო ოპერაციების განსახორციელებლად ქუთაისის სახელმწიფო ბანკში მივიდა, სურვილი აუხდა.

რეჟისორმა თვალი ბანკის ბუღალტერ-კონტროლიორს, ქალბატონ რიმა ჭუმბურიძეს, დაადგა.

თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარში 1911 წელს გახლდათ ქალბატონი რიმა დაბადებული, სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე, სიცოცხლის ბოლო დღეებამდე საბანკო სისტემაში მუშაობდა. ნაყოფიერი გარჯისათვის არაერთი პრესტიჟული ჯილდოს მფლობელი იყო. ბევრი ხვეწნის შემდეგ ქალბატონი რიმა რეჟისორს დასთანხმდა, როლი შეასრულა და კარგადაც შეასრულა. მისი სახე სამუდამოდ დარჩა ქართულ კინემატოგრაფიაში. საკუთარი ოჯახი არ ჰყავდა ქალბატონს, იგი 1989 წელს გარდაიცვალა. აუცილებელია ითქვას, რომ მას სხვა რეჟისორებიდანაც ჰქონდა შეთავაზება, მაგრამ, არა და არა!

აი, ეს გახლდათ ამ ციცქნა წერილის მიზანი და არა პასუხი კითხვაზე, რა სარგებლობა მოაქვს მამალს?

**ლევან გაბეჩავა**

# 3 მარტი დედის დღეა

გაზაფხულია, თვე არის მარტის,
დღეს დედის დღეა, დღე არნახული,
ჰყვავის სიტურფე, ამ მთა და ბარის,
დღესასწაულობს დღეს ჩემი გული.
ნეტარ ხარ მუდამ სახელო დედის,
ჩვენო მამულო, გმირთა მხარეო,
მუდამ მაქვს შენი რწმენა, იმედი,
სიმღერა ლექსი მიგაბარეო.
უძველეს მიწის სამლოცველოში,
გულით გილოცავთ მე ყველა დედას,
უძველეს, წმინდა საქართველოში
ღმერთმა გაშოროთ ჯავრი და სევდა.
მომილოცნია გული დედისა,
ტურფაა ყველგან შენი მხარეო,
ციხე-სიმაგრე უკვდავებისა
მზიურ ბილიკით მოვიარეო.
დედას ღირსეულს მე ვეტყვი სალამს,
დედას ვეძახით ჩვენ საქართველოს,
შენთვის აღვმართავ მე, დედავ, ალამს,
მე ვიტყვი მუდამ შენს სადღეგრძელოს.
შენში ღელავს მარად ცხოვრების გული,
ფიქრები დედის ტალღად გაშლილი,
დედის თვალები მცნობს უსასრულო,
ვარ მარად მისი ერთგული შვილი.
გაზაფხულია, მზე, ნიაღვრები,
ახლა ლექსები გულს შემოანგრევს,
დედა, გაჰფანტე შვილზე ჯავრები,
დედა-სიცოცხლის ციხე-სიმაგრევ!
უზარდე მამულს მამაცი შვილი,
მას გაუფანტე ჯავრი და სევდა,
ნუ დამანახებთ, რომ თმაგაშლილი
შვილის საფლავთან გოდებდეს დედა.
დედა შვილისგან მსხვერპლს არ მოითხოვს,
შვილს უყოყმანოდ შემოსწირავს გულს,
დედა გულიდან ასხივებს სითბოს
დედას ვაჩუქებთ ლამაზ თაიგულს.

## დედას

მოვალ და გულში ჩაგიკრავ დედა
მინდა შენი სანუგეშო მზერა,
გულზე ჯავრად შემოყრილი სევდა
ნისლივით რომ გაჰქრება, მჯერა.
შენც მელოდი, მეც მოვედი დედა,
იქნებ ერთად აღარ ვიყოთ მარად,
შენი გული რომ ჩემს სიზმრებს ხედავს,
ვიცი, ჩემზე რომ დარდობ და კმარა!
დედის გული ატირდება ყველგან,
როგორ გითხრა, არ იდარდო დედა?!
მაშ დამშვიდდი სანატრელო დედა,
ილოცე და გამიფანტე სევდა.

**მერაბ ჩაჩავა**

# ცხოვრების სიბრძნით დაწერილი ცოცხალი ენციკლოპედია

ლევან ბაბეჩავა



***1909 წელს ხონის რაიონში (სოფელი გორდი) დაიბადა ბატონი ალექსანდრე (საშა) ჩიქოვანი. სიჭაბუკეში თბილისის ავეჯის ფაბრიკის მუშა კორესპონდენციებს აქვეყნებდა იმ დროს პრესტიჟით პირველ გაზეთ "კომუნისტში". სწორედ რედაქციამ მიავლინა ის მოსკოვში, სადაც ბატონმა საშამ უმაღლესი ჟურნალისტური განათლება მიიღო და საქართველოში დაბრუნებულმა მუშაობა გაზეთ "კომუნისტის" რედაქციაში დაიწყო პასუხისმგებელ მდივნად.***

განუკითხაობის წლებმა (1937 წ.) ბატონ ალექსანდრესაც დაასვა დაღი. იგი "ციმბირის ბინადარი" გახდა. მოგვიანებით ბატონმა ალექსანდრემ არხანგელსკის სატყეო-საინჟინრო ინსტიტუტი დაამთავრა. მისი პროფესიული ხელწერა განხორციელდა შორეული კომის ავტონომიის სხვადასხვა რაიონში ხიდების მშენებლობისას.

1947 წლიდან დაფუძნდა სამტრედიაში ა. ჩიქოვანი, წლების მანძილზე იყო ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის მთავარი ინჟინერი. 1974 წლიდან კი კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სამტრედიის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსი.

"განუხომელია საშა ჩიქოვანის ღვაწლი სამტრედიის ქალაქის ცენტრის გამშვენიერებაში. მისი უშუალო მონაწილეობით რემონტი ჩაუტარდა თეატრის შენობას. ქალაქში დაიდგა მგზავრთა კეთილმოწყობილი მოსაცდელები. თეატრის მიმდებარე პარკი მოსახლეობას დასვენების საყვარელი ადგილი იყო. წელიწადის თბილ სეზონში აუზებში ფუნქციონირებდა შადრევნები. კულტურისა და დასვენების პარკს შემოავლეს ბეტონის ბორდიურები, ისინი გრანიტის ფილით იყო მოპირკეთებული, მომხმარებლური ფსიქოლოგიის ვაისამტრედიელებმა გრანიტის ფილები ბორდიურებს შემოაძარცვეს..." – წერს წლების წინ ბატონი გენო გეგეშიძე საშა ჩიქოვანის იუბილესადმი მიძღვნილ წერილში.

უკვე ისტორიად ქცეული სამტრედიის რაიონული გაზეთები "სოციალისტური შეტევა", "წინსვლა" ინახავენ ა. ჩიქოვანის მიერ მომზადებულ ნარკვევებს, საგაზეთო წერილებს, რომელთა გაცნობაც ყველა დროში სიამოვნებას მოჰგვრის გემოვნებიან მკითხველს. ბევრი კარგი მსმენია ბატონი საშას პიროვნული ღირსებების თაობაზე ჩვენი უფროსი კოლეგებისაგან, რაიონის ინტელიგენციისაგან.

**"75 წლის ასაკში ბატონმა საშამ პირად ცხოვრებაში მძიმე ფსიქიკური სტრესების კასკადი იწვნია. იგი თბილისში, საავადმყოფოში გარდაიცვალა. დასაფლავებულია თბილისში. მის დაკრძალვაზე სიტყვები წარმოთქვეს განსვენებულის მეგობრებმა, ჟურნალისტებმა ანტონ კელენჯერიძემ და პროფესორმა ალექსანდრე ღლონტმა. გულისშემძვრელი იყო სამტრედიის ინტელიგენციის პატრიარქის, შალვა გოგავას, სიტყვა..."** ისევ ბატონ გენოს ეკუთვნის მუქად წარმოდგენილი ეს მოგონება. სხვა წერილებსაც გავეცანი, ბატონ გენოს ბატონი საშას პიროვნებაზე რომ უწერია და ყურადღება ერთმა მრავლისმთქმელმა წინადადებამ მიიპყრო: "ცხოვრების სიბრძნით დაწერილი ცოცხალი ენციკლოპედია" – ასე ახასიათებს ბატონი გენო ბატონ საშას.

სამწუხაროდ, სამტრედიის ენციკლოპედიაში (მიუხედავად იმისა, რომ ენციკლოპედია უდიდესი შენაძენია ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის) ბატონ ალექსანდრე ჩიქოვანის შესახებ არაფერი წერია. "გამორჩათ" ალბათ.

110 წლისა გახდებოდა ამ დღეებში, ჭეშმარიტ სამტრედიელთა მეხსიერებაში მარად ცოცხალი, სამტრედიის კოლორიტად ქცეული ხონელი კაცი.

ნათელში იყოს!

# ოთარ ნაფეტვარიძის საიუბილეოდ

15 წლის წინ 15 მარტს ოჯახში მიგვიწვია რედაქციის მთელი შემადგენლობა. ახლობლები ბატონი ოთარ ნაფეტვარიძის დაბადების 80 წლის იუბილეს ზეიმობდა. საოცრად მხიარული და ბედნიერი იყო თავად იუბილარი. მაგიდას ბატონი ოთარის უმცროსი ვაჟიშვილი, აწ განსვენებული ზაალ (ზალიკო) ნაფეტვარიძე უძღვებოდა. დღემდე შემოგვრჩა მეხსიერებაში იმ ერთი მშვიდი საღამოს შთაბეჭდილებები. მაგიდასთან ვისხედით, როცა ნაფეტვარიძეების კარზე ზარი აწკრიალდა და...

"სამტრედიის მაცნედან" გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ახალგადასული ჩვენი კოლეგა რუსუდან მუქერია შემოვიდა ოთახში გულთბილი მისალოცი ბარათით, რომელსაც ხელს გამგეობისა და საკრებულოს მაშინდელი თავკაცები აწერდნენ.

არ ეყოფა ერთი წერილი, სრულად აღწერო ის დამსახურება გაზეთის წინაშე, ბატონ ოთარ ნაფეტვარიძეს, ომისა და შრომის ვეტერანს, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირების წევრს რომ მიუძღვის. გაცილებით ბევრი გააკეთა მან, ვიდრე ერთ კაცს მოეთხოვებოდა. ამიტომ ვერ (არ) ვივიწყებთ ჩვენს უსაყვარლეს ოთარ "ივანიჩს".

15 მარტს 95 წლისა გახდებოდა, ნათელში იყოს!

ლევან ბაბეჩავა



საზოგადოება "სამტრედიელი" ღრმა მწუხარებით იუწყება ღირსეული სამტრედიელის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარის, ბატონი

**გიორგი (ჟორა) ვარლამის ძე რევიშვილის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

---

## ბატონი გიორგი რევიშვილი გარდაიცვალა

ჩვენი რაიონის სინამდვილეში უძველესი და ტრადიციული სახელოვანი გვარის, რევიშვილების ღირსეულ წარმომადგენელს გამოეთხოვა ამ დღეებში ჩვენი პატარა ქალაქი.

რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ყოველდღიურ პრობლემებში ჩაძირულებმა სიცოცხლეში სათანადო პატივი ვერც მას მივაგეთ.



არადა, გაცილებით მეტს ნამდვილად იმსახურებდა.

სულ ახლახან ერთ-ერთი რესპონდენტი, ბატონი ჟორა რევიშვილის კაცურ კაცობაზე ჰყვებოდა და იმ წლებს იხსენებდა, როცა იგი რკინგზის ერთ-ერთ უმსხვილეს ორგანიზაციას ედგა სათავეში. ცალკე თემაა ბატონი ჟორას მოღვაწეობა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეობისას.

7 წელი გახლდათ იგი ქალაქის თავი. ეს ის პერიოდია, როცა სამტრედიაში მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსთა, თუ სხვადასხვა ობიექტების მშენებლობის ბუმი იყო. "ნიჭიერი ორგანიზატორი, ჩინებული მეგობარი, კაცური კაცი, სადაც კი იმუშავა, მისეული ხელწერა დატოვა ყველგან". – ასე გაიხსენა, ბატონ ჟორასთან ურთიერთობის წლები რაიონის ერთ-ერთმა ყოფილმა ხელმძღვანელმა მუშაკმა, ბატონმა თემურ პირველმა.

რაიონული გაზეთის ერთგული მკითხველი და რედაქციის უფროსი თაობის წარმომადგენელთა ახლო მეგობარი, სიცოცხლის ბოლო დღეებამდე გაზეთისავე მეშვეობით თვალყურს ადევნებდა სამტრედიაში მიმდინარე პროცესებს. არცთუ ხშირად წერილებსაც გვთავაზობდა, იმ ადამიანთა მოსაგონარით, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს ლამის 150 წლის სამტრედიის აღმშენებლობის საქმეში. სამტრედიის მემატიანე გვერდს ვერ აუვლის ბატონი გიორგი (ჟორა) რევიშვილის გვარ-სახელს, მის ნაღვაწს, წელთა სვლასთან ერთად სხვა ელფერს რომ შეიძენს.

ნათელში იყოს!

ლევან ბაბეჩავა

## ჩვენი "ვარლამიჩი"

84 წლის ასაკში, ჩვენი ქალაქის ძველ თაობას, კიდევ ერთი შესანიშნავი მეგობარი, გიორგი (ჟორა) რევიშვილი გამოაკლდა. ჩვენი "ვარლამიჩი", როგორც მას სამეგობროში თიკუნად სიყვარულით მოგმართავდით. სამეგობროს რჩეულთა შორის ერთ-ერთი რჩეული, პიროვნება, მისი ღირსეული წევრი, კაცურ კაცობისა და ძმობა-სიყვარულის ეტალონი. ასეთი იყო და ასეთად შემორჩება იგი ჩვენს მეხსიერებას, მის საყვარელ მშობლიურ ქალაქს სამტრედიას, სადაც მან სიცოცხლის წლები გაატარა და რომელსაც, როგორც საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, წლების განმავლობაში ემსახურა.

კაცი, ქალაქის და რაიონის კოლორიტი, ყველა ადამიანური თვისებით შემკული და მატარებელი, ყველასათვის ყველაფერში ღირსეული მაგალითის მიმცემი, წავიდა ჩვენგან და კიდევ ერთი წევრით შეამცირა ისედაც უმცირესობაში დარჩენილი სამეგობრო.



ყველგან და ყველაფერში ზომიერი, ყველას გამგები და თანამგრძნობი, მხოლოდ სიკეთის მსურველ-მთესველი, უბრალო და უღალატო – ასეთი იყო იგი როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანი და უფლის სამწყსოს წევრი. ამიტომაც გვჯერა, რომ თავად უფალმა ისურვა მისი მასთან ყოფნა.

რკინიგზის შენობა-ნაგებობათა დისტანციის თუ მაშინდელი სასოფლო-სამეურნეო მშენებლობის სამინისტროს №25 სამშენებლო სამმართველოს უფროსი, ქალაქის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, ეს ის თანამდებობებია, სადაც მისი პიროვნება სრულად წარმოჩნდა როგორც მშენებელ-სპეციალისტი და კარგი ორგანიზატორი. განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა როგორც საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის. ეს იყო ჩვენი ქალაქის ინფრასტრუქტურული განვითარების, მართლაც, ღირსეული, წარუშლელი წლები. ჩვენო ჟორა! ჩვენო "ვარლამიჩ!" შენი დიდი კაცური კაცობის დასტურად, ალბათ, უპრიანი იქნება, დარჩენილმა მეგობრებმა, შენდამი სიცოცხლეში მიძღვნილი, ლექსად თქმული სტრიქონები გავიხსენოთ:

"მეგობარი თუკი გინდათ,
ის ასეთი უნდა იყოს,
მისთვის არას დაიტოვებს,
ბოლო ლუკმას რომ გაგიყოფს".

სამეგობრო

# სამტრედიის "სამტრედიამ" მეორე ლიგის სასტარტო შეხვედრა გამარჯვებით დაიწყო

ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე 2 მარტს ეროვნული ლიგა 2-ის გახსნის შეხვედრა გაიმართა. განახლებულ მოედანზე სამტრედიის "სამტრედიამ" ზუგდიდის "ზუგდიდს" უმასპინძლა და ანგარიშით 2:1 დაამარცხა. თამაში უკომპრომისო და დაძაბულ ვითარებაში წარიმართა. მასპინძლები თავიდანვე ფლობდნენ უპირატესობას. დაწინაურდნენ მასპინძლები. სტუმართა გუნდმა ანგარიშის გათანაბრება შეძლო, მაგრამ ადგილობრივების მონდომებით "სამტრედიამ" გამარჯვების გოლის გატანა მოახერხა.

მიუხედავად უამინდობისას, ახლად რეაბილიტირებული სტადიონი სავსე იყო მაყურებლით.

გასული სეზონის განმავლობაში, როდესაც კლუბი ჯერ კიდევ უმაღლეს ლიგაში ასპარეზობდა, მინდვრის საფარზე მიმდინარე სამუშაოების გამო, "სამტრედიას" საკუთარ მოედანზე არც ერთი საშინაო მატჩი არ ჩაუტარებია.



ხელოვნური საფარის ნაცვლად ბალახის ბუნებრივი საფარი მოეწყო. ეს უკანასკნელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ განახორციელა. ბოლო თვეა, სტადიონზე ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს. თამაშამდე ერთი დღით ადრე კი სტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები პრაქტიკულად დამთავრებული იყო. დღის ბოლომდე მწვრთნელებისა და სათადარიგო მოთამაშეების დასაჯდომებიც დამონტაჟდა.

გულშემატკივრის მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინების გამო სტადიონზე სარეაბილიტაციო სამუშაოების შემჭიდროვებულ ვადებში ხარისხიანად განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტის მერის, ვალერიანე ფოცხვერიას, დავალებით, სამუშაოების მიმდინარეობას მერის მოადგილე აკვირდებოდა.

დავით ბახტაძის თქმით: "სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა არა მარტო კონკრეტული სპორტის სახეობის განვითარებას, არამედ ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას და მის პოპულარიზაციას, ასევე, სხვადასხვა სპორტული ჯგუფის სათანადო სავარჯიშო და საშეჯიბრო პირობების უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს. პირველ რიგში წარმატებებს ვუსურვებ ადგილობრივ საფეხბურთო კლუბს და სამტრედიელ გულშემატკივრებს. ასევე მინდა, განსაკუთრებულად აღვნიშნო, ზამთრის რთული კლიმატური პირობების მიუხედავად, სამუშაოები შემჭიდროვებულ ვადებში განხორციელდა. რეაბილიტაცია თითქმის 24 საათიანი სამუშაო რეჟიმით მიმდინარეობდა, განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ ადამიანს, ვინც სარეაბილიტაციო სამუშაოებში უშუალოდ მიიღო მონაწილეობა".

**ნინო ნანიტაშვილი**









## ვულოცავთ!

### ბატონ ალექსანდრე ბანძავას!



ჩვენი ქალაქის ერთ-ერთ უხუცეს პიროვნებას, ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს, ბატონ ალექსანდრე ბანძავას, პატივისცემით ვულოცავთ 89 წლის შესრულებას.

კვლავ დიდხანს, დიდხანს ბრძანდებოდეთ ასე მხნედ და შემართებით, ბატონო ალეკო!

**"სამტრედიის მაცნეს" რედაქცია**

## ორი მატჩი ორი მოგება

საქართველოს მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებმა, 9 თებერვალს, ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩში რუმინეთის ქალაქ კლუჟში ამ ქვეყნის ნაკრებთან ანგარიშით 18:9 გამარჯვების შემდეგ, მეორე მატჩი 17 თებერვალს თბილისში, ავჭალის სარაგბო სტადიონზე გამართა ესპანეთის ეროვნულ ნაკრებთან და დაამარცხა იგი ანგარიშით 22:10.

მომდევნო რიგით მესამე მატჩი ქართველმა ბორჯღალოსნებმა 2 მარტს ჩაატარეს ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან.

**იორამ ნიკოლეიშვილი**

ბაშის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლეები 8 მარტსა და გაზაფხულს ვულოცავთ ამავე სკოლის ქალ პედაგოგებს, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და ყოველივე საუკეთესოს ცხოვრებაში!

**ბაშის საჯარო სკოლის XII კლასი**

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა